# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№138 (9818) 2024 წლის 2 დეკემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


# არჩევნებში გამარჯვებული ქართველი ხალხი „ნაცმაიდანს" არ დაუშვებს!



ყველა უნდა შეეგუოს ფაქტს, რომ საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები და ქვეყანას ჰყავს დემოკრატიული ხელისუფლება!

## გატყუებენ!

2

## მოდი, გამოვიცნოთ!



3

ქართულ ჟურნალისტიკაში ყველაზე „საყვარელი" ნაძირალა

## მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა...

4



## გურამ რჩეულიშვილის საფლავის რესტავრაციის სამუშაოები გრძელდება



9

## „საოცრად ლამაზი ქალიშვილი ჰყოლია გიორგი სააკაძეს"



12



6

## გაუმარჯოს დანაშაულს! გაუმარჯოს ჯოჯოხეთს!

# არჩევნებში გამარჯვებული ქართველი ხალხის უმრავლესობა „ნაცმაიდანს“ არ დაუშვებს!

**გუშინ (30 ნოემბერს, რედ.) თანამდებობაზე დაინიშნა 12 მინისტრი, რითაც დასრულდა ახალი ხელისუფლების ფორმირება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების საფუძველზე. შეგახსენებთ იმასაც, რომ 14 დეკემბერს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, რის შემდეგაც ყველა კონსტიტუციური ორგანო ქართველი ხალხის უმრავლესობის ნების შესაბამისად იქნება დაკომპლექტებული.**

მინდა, გამოვეხმაურო გუშინ თბილისში განვითარებულ მოვლენებს. პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურს და თითოეულ პოლიციელს. მიუხედავად უმძიმესი სისტემური ძალადობისა, რომელსაც გუშინ ძალადობრივი დაჯგუფებები და მათი უცხოელი ინსტრუქტორები მიმართავდნენ, პოლიციამ ამერიკულზე და ევროპულზე მაღალი სტანდარტით იმოქმედა და წარმატებით დაიცვა სახელმწიფო კონსტიტუციური წყობილების ხელყოფის მორიგი მცდელობისაგან. გუშინ ის ხარვეზებიც გამოსწორდა, რომელიც წინა დღეებში დაფიქსირდა, რისთვისაც შინაგან საქმეთა მინისტრს და თითოეულ პოლიციელს კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო. მადლობა თითოეულ პოლიციელს მოთმინებისთვის.

შემაშფოთებელია, რომ ძალადობრივი დაჯგუფებების მიერ განხორციელებული უხეში სისტემური ძალადობა არც ამ შემთხვევაში დაუგმია ევროკავშირს. შეგახსენებთ, რომ ამგვარი ფაქტები მძიმედ აზიანებს ქართველი საზოგადოების ნდობას ევროპული ინსტიტუტებისადმი. 1949 წლიდან 2008 წლამდე ევროკავშირი სამართლიანობის ერთგვარი სიმბოლო იყო. დღეს კი, ცხადად ჩანს, რომ სიცრუე და უსამართლობა ევროპულ სტრუქტურებში ძალზე ღრმად არის გამჯდარი, რაც უკიდურესად შემაშფოთებელია.

სიცრუე და უსამართლობა გამოიხატება იმაშიც, რომ ეუთო/ოდირის დადებითი დასკვნის მიუხედავად, ევროპულ სტრუქტურებს ოფიციალურად კვლავაც არ უღიარებიათ არჩევნების შედეგები. მეტიც, ევროპელი პოლიტიკოსების ნაწილი ზუსტად ისეთივე შემართებით ესხმის თავს ეუთო/ოდირს, როგორც ამას რადიკალური ოპოზიცია აკეთებს. როდესაც ევროპელი პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების ნაწილი ღიად აცხადებს, რომ მათთვის მხოლოდ ხელისუფლებაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ დაბრუნების პირობებში აქვს საქართველოს ფასი, ეს ქართველი საზოგადოებისთვის გაუგებარი და შეურაცხმყოფელია. მოძალადეებთან, მკვლელებთან, მწამებლებთან, ბიზნესის რეკეტიორებთან, ტელევიზიების მიმტაცებლებთან და ომის ინიციატორებთან ყოველგვარი ასოცირება ძირს უთხრის ქართველი საზოგადოების ნდობას ევროპული ბიუროკრატიისადმი, რაც ჩვენ უკიდურესად გვაშფოთებს.

ასეთივე სიცრუე ვრცელდება იმასთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, საქართველოს ხელისუფლებამ ევროინტეგრაციის პროცესი შეაჩერა. პირველივე განცხადებაში და მთელი ამ დღეების განმავლობაში, ჩვენ ხაზგასმით ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ არათუ ევროინტეგრაციის პროცესს არ ვაჩერებთ, არამედ კიდევ უფრო ვააქტიურებთ ჩვენს ძალისხმევას 2030 წელს ევროკავშირში საქართველოს გაწევრების უზრუნველსაყოფად. ამ ფონზე, სამარცხვინო და შემაშფოთებელია, რომ რადიკალური ოპოზიციისა და მისი კუთვნილი ენჯეოების თუ მედიასაშუალებების მიერ წარმოებულ დეზინფორმაციულ კამპანიაში ევროკავშირის ელჩიც ჩაერთო. ბუნებრივია, ამგვარი მოვლენებიც სერიოზულად არყევს ქართველი საზოგადოების ნდობას ევროპული ბიუროკრატიისადმი. მინდა, შევახსენო ევროკავშირის ელჩს – დადეთ მაგიდაზე მოლაპარაკებების გახსნა და დღესვე მოვაწერ ხელს. საქმე შანტაჟის ნაცვლად, ეს არის ჩვენი დამოკიდებულება საკითხისადმი და ასეთივე ღირსეულ დამოკიდებულებას ველით ევროპული სტრუქტურებიდანაც, რაც ქართველი საზოგადოების დაკვეთაა.

**მინდა, ასევე, გამოვეხმაურო საზოგადოებრივ მაუწყებელში „ნაციონალური მოძრაობის“ შეჭრის ფაქტს. ამ აქტით, მათ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ ტელევიზიებში შეჭრა „ნაციონალური მოძრაობის“ უცვლელი ხელწერაა. ამასთან, ყოველგვარი ირონიის გარეშე, საზოგადოებრივ მაუწყებელში შეჭრილ „ნაციონალებს“ მინდა, მადლობა გადავუხადო გუშინდელი ეთერისთვის, რადგან მათ, ამ ეთერით, ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს, თუ როგორია „ნაციონალის“ ნამდვილი სახე. გოდიშს ვუხდი რამდენიმე გულწრფელ და შეცდომაში შეყვანილ ადამიანს, რომლის გამოსწორება, მგონია, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია.**

✦ ✦ ✦

**გუშინწინ ყველამ დაინახა, რომ საქართველოში „ნაცმაიდანი“ ვერ შედგება, გუშინდელი დღე კი იყო საქართველოში ლიბერალური ფაშიზმის დასასრულის დასაწყისი. მინდა, ყველას მოვუწოდო სიმშვიდისა და კანონის დაცვისკენ. ყველას შევახსენებ, რომ ნებისმიერ სამართალდარღვევას კანონის მთელი სიმკაცრით გაეცემა პასუხი. პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან ვერც ის პოლიტიკოსები, რომლებიც თვითონ ოფისებში იმალებიან და მათი ძალადობრივი დაჯგუფებების წევრებს მძიმე სასჯელისთვის წირავენ.**

აქვე, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის და პირადად, ჩემთვის, ძვირფასია საქართველოს თითოეული მოქალაქე, განსაკუთრებით ის მოქალაქეები, რომლებიც შეცდომაში არიან შეყვანილი და გულწრფელად აპროტესტებენ იმას, რაც ბუნებაში არ მომხდარა. კიდევ ერთხელ მინდა ყველა დავარწმუნო, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია არ შეჩერებულა. ერთადერთი, რაზეც ჩვენ ვთქვით უარი, არის სამარცხვინო და შეურაცხმყოფელი შანტაჟი, რომელიც სწორედ რომ პრინციპულ დაბრკოლებას უქმნიდა ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციას.

ჩვენ გავუფრთხილდებით საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად მათი შეხედულებებისა. ყველას კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ ყველა ხელშესახებ შედეგს ევროინტეგრაციის გზაზე სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მიაღწია. ჩვენს პირობებში მოეწერა ხელი ასოცირების შეთანხმებასა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, ჩვენს პირობებში მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია. ევროპელი ჩინოვნიკებისა და რადიკალური ოპოზიციის მიერ შექმნილი ხელოვნური დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენ წელიწად-ნახევარი ჯიუტად ვიბრძოდით კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად და თავდაუზოგავი ბრძოლით გამოვგლიჯეთ ეს სტატუსი ხელიდან იმ ძალებს, რომლებსაც კანდიდატის სტატუსი შანტაჟისა და ქვეყნის არევის ინსტრუმენტად ჰქონდათ მოაზრებული.

ანალოგიურად, ვპირდებით ყველას, რომ არ დავიშურებთ ძალისხმევას 2030 წელს ევროკავშირში საქართველოს საბოლოოდ გასაწევრიანებლად. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა საქართველოს თითოეული მოქალაქის წინაშე, განსაკუთრებით, იმ 1 120 000 ამომრჩევლის წინაშე, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩვენს კურსს და ჩვენს სლოგანს – მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ.

ნებისმიერი ძალადობა არის კატეგორიულად მიუღებელი და ძალადობა მედიის წარმომადგენლების მიმართ არის კიდევ უფრო მიუღებელი, გამორჩეულად მიუღებელი, ეს არის ჩემი ძალიან მკაფიო პოზიცია.

**1 დეკემბერი, 2024 წ.**




**გუშინ (30 ნოემბერს, რედ.) თანამდებობაზე დაინიშნა 12 მინისტრი, რითაც დასრულდა ახალი ხელისუფლების ფორმირება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების საფუძველზე. შეგახსენებთ იმასაც, რომ 14 დეკემბერს გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, რის შემდეგაც ყველა კონსტიტუციური ორგანო ქართველი ხალხის უმრავლესობის ნების შესაბამისად იქნება დაკომპლექტებული.**

## ტრამპის ადმინისტრაციასთან ჩვენ გვქონდა არაპირდაპირი კომუნიკაცია და ველოდებით პირდაპირ ურთიერთობას!

**როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია.**

„ჩვენი მხრიდან იყო კომუნიკაცია, იყო არაპირდაპირი კომუნიკაცია და ველოდებით პირდაპირ კომუნიკაციას. ეს არის რაც შემიძლია, გითხრათ. უფრო მეტს ვერ გეტყვით. ეს არის შიდა სამზარეულო, გვქონდა არაპირდაპირი კომუნიკაცია და ჩვენი სურვილია, შედგეს პირდაპირი კომუნიკაცია. ჩვენთვის მთავარია ტრამპის ადმინისტრაცია, ეს არის მთავარი დანარჩენი ყველაფერი არის მეორეხარისხოვანი, როგორც იტყვის ტრამპი, იქნება ისე, მანამდე სხვა ვიღაც ამბობდა რაღაცას და იმას მიყვებოდა ჰელსინკის კომისია, რასაც იტყვის ტრამპი, იქნება ისე, ამიტომ ჩვენთვის მთავარია დონალდ ტრამპთან ურთიერთობა“...

## ყველა უნდა შეეგუოს ფაქტს, რომ საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები და ქვეყანას ჰყავს დემოკრატიული ხელისუფლება!

**ყველას გახსოვთ, ჯერ კიდევ არჩევნების ჩატარებამდე ჯერ გახარიას და შემდეგ გვარამიას გააკეთებინეს განცხადებები ეუთო/ოდირის მისიის წინააღმდეგ. ისინი წინასწარ დაესხნენ თავს ეუთო/ოდირს, აქედან ჩანს, რომ მათ ეშინოდათ ობიექტური შეფასების. შემდეგ უკვე, როდესაც ეუთო/ოდირმა დადო ობიექტური შეფასება, როდესაც თქვა, რომ ეს იყო კონკურენტული არჩევნები, როცა ისაუბრეს იმაზე, რომ კი, ხარვეზები იყო, მაგრამ მთლიანობაში არჩევნები ჩატარდა სათანადოდ, ამის შემდეგ გაგრძელდა უკვე მეორე ეტაპით ეს თავდასხმა ეუთო/ოდირზე. შემდეგ ამ თავდასხმას შეუერთდნენ უკვე ევროპარლამენტარები, აქედან ძალიან მარტივად იკითხება ყველაფერი. ვიღაცები, მათ შორის, ევროკავშირის ელჩი წინასწარ გვეუბნებოდა, რომ საქართველოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა მისთვის და მათთვის ფასი, აქ არ იგულისხმება, რა თქმა უნდა, ევროკავშირი, იგულისხმება შესაბამისი ჩინოვნიკი და პოლიტიკოსები, თუ ხელისუფლებაში დაბრუნდებოდნენ მკვლელები, მწამებლები, ტელევიზიების მიმტაცებლები, ბიზნესის რეკეტით გამორჩეული ადამიანები და ის ადამიანები, რომლებმაც 2008 წელს გააჩაღეს ომი საქართველოში. ეს არის ჩვენთვის შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება. როცა გიყენებენ საკითხს, რომ ან „ნაცები“ უნდა დაბრუნდნენ, ან საქართველოს ფასი არა აქვს, ეს არ არის, რა თქმა უნდა, სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ და ამის გაგრძელებაა ის თავდასხმა, რომელსაც ვხედავთ ეუთო/ოდირის მიმართ. ყველა უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, ქვეყანას ჰყავს დემოკრატიული ხელისუფლება, დასრულდა, როგორც პარლამენტის, ისე მთავრობის ფორმირების პროცესი, მალე აირჩევა საქართველოს პრეზიდენტი. ყველა, ვინც პატივს სცემს დემოკრატიის პრინციპს, უნდა შეეგუოს ქართველი ხალხის ნებას!“**



# მოდი, გამოვიძიოთ!



**მთლიანად ამ ცოდვილ მიწაზე და საქართველოშიც განვითარებული უაღრესად დაძაბული, ხშირად საღი გონებისთვის მიუწვდომელი მოვლენები უამრავ კითხვას აჩენს. საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი ეჭვით უყურებს პოლიტიკოსების, თუნდაც, მიუკერძოებელი ექსპერტების განმარტებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს განმარტებები დასაბუთებული და ობიექტურია. არ ვამტკიცებ, რომ ასე მხოლოდ საქართველოში ხდება – ასეა მთელ მსოფლიოში.**

**არსებული ვითარება უკიდეგანო ასპარეზს ულის, ზოგადად, მრავალმხრივი პრიმიტიული დემაგოგიისთვის. აი, ამ შემთხვევაში კი საქართველო მართლაც გამორჩეულია. თუნდაც ახლახან ერთ-ერთი დემონსტრაციულად ოპოზიციური ტელეარხის მიერ მომზადებული მოდური „ჟურნალისტური გამოძიება“ რად ღირს! მით უფრო, თუ მან ტელეეთერში გამოჩენილი და ყოვლისმცოდნე ნოდარ მელაძის „წამყვანობით“ გაიგრიალა.**

**მოკლედ, მელაძის ტელევიზიას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი „საიდუმლო“ გაუხსნია – თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯაბა სამუშია, თურმე, პირადად იცნობს... საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის უფროსს. და თურმე, სწორედ ამ დანაშაულებრივი ნაცნობობის შედეგია, რომ კრიმინალურმა პოლიციამ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შეაღწია და იქ გამაგრებული მოპროტესტეების გამოყვანა მოახერხა!**

არცთუ ბავშვური ასაკის ნოდარ მელაძემ უნდა იცოდეს (და, იმედია, იცის კიდეც!) რომ სოლიდური ასაკის პროფესორი სამუშია, დიდი ალბათობით, პატარა საქართველოში უამრავ ადამიანს, მათ შორის, მნიშვნელოვანი თანამდებობის პირებს მართლაც იცნობს და ამაში გასაკვირი, მით უფრო, დანაშაულებრივი არაფერია. მაგალითად, მე, ერთი რიგითი ჟურნალისტი პირადად ვიცნობდი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივან პატიაშვილს, პრეზიდენტ გამსახურდიას, პრეზიდენტ შევარდნაძეს, პრეზიდენტ მარგველაშვილს, პრეზიდენტ სააკაშვილს, ბევრ სხვა დიდი თანამდებობის პირს, მინისტრებს სამმართველოების უფროსების ჩათვლით, ვიცნობდი ლავრენტი ბერიას უმშვენიერეს მეუღლე ნინოს, დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ ჰეიგს და თვით პრეზიდენტ ზურაბიშვილის მეუღლე ჯანრი კაშიასაც კი!

იმის თქმა მინდა, რომ კრიმინალურ პოლიციას მოქალაქეთა დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად რომელიმე უნივერსიტეტის რექტორის ნებართვა, თხოვნა ან ლოცვა-კურთხევა ნამდვილად არ სჭირდება – ეს არის მისი სამსახურებრივი მოვალეობა და ასრულებს უშუალო უფროსის ბრძანებას!

ახლა, მელაძისა და სხვა დაინტერესებული პირების გასაგონად, ძალიან მოკლედ, რას ნიშნავს ჟურნალისტური გამოძიება და რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს გამომძიებელი ჟურნალისტი.

**გამოძიება არის მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე რთული, შრომატევადი და ხშირად სიცოცხლისთვის სახიფათო საქმიანობა. ოფიციალური ორგანოების პროფესიონალი გამომძიებელი ცივილიზებულ სამყაროში უზარმაზარ მატერიალურ ანაზღაურებასთან ერთად სარგებლობს კანონით მინიჭებული საგანგებო უფლებამოსილებითაც — დაკითხვის, დაკავების, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, საპატიმროებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების უფლება; ტექნიკური აღჭურვილობითა და საიდუმლო ოპერატიული მონაცემებით სარგებლობის, ოპერატიული და საიდუმლო სამსახურების დახმარების შესაძლებლობა და ა.შ...**

და მაინც, უამრავი დანაშაულის საიდუმლო მარადიულ საიდუმლოდ რჩება – ოფიციალური გამოძიება ვერ ახერხებს დანაშაულის გახსნას, ანუ ნამდვილი დამნაშავისთვის ბრალის დამტკიცებას.

ჟურნალისტი-გამომძიებელი ამ კომფორტს მოკლებულია. მას აქვს ფრიად შეზღუდული მატერიალური რესურსები და უფლებრივი მდგომარეობა: არ შეუძლია მოწმის ან ეჭვმიტანილის ოფიციალური დაკითხვა, ეჭვმიტანილის დროებითი იზოლაცია; მას არ ეხმარება არავითარი სახელმწიფო სტრუქტურა (პირიქით, სიამოვნებით უშლის ხელს); არა აქვს ფიზიკური პირისგან დოკუმენტების მოთხოვნის უფლება; არავინ აწვდის ოპერატიულ მონაცემებს და მრავალი სხვა.

მოკლედ, იკვრება ჯადოსნური წრე: ჟურნალისტური გამოძიების, როგორც ჟანრის, დათმობა შეუძლებელია; ასევე შეუძლებელია რედაქციის ან ტელეარხის რესურსებით მეტ-ნაკლებად რთული საქმის ობიექტური გამოძიება!

ამიტომაა, რომ დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებად წარმატებით საღდება:

**რომელიმე სახელმწიფო საგამოძიებო უწყების მიერ რედაქციისთვის (ან დამოუკიდებელი ჟურნალისტისათვის) მიწოდებული მასალების ზერელე ანალიზი;**

**ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის ხელთ არსებული მასალები და მისი მოსაზრებები;**

**რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ ნაკარნახევი, ცუდად შენიღბული ან, საერთოდ, შეუნიღბავი ცინიკური ჟურნალისტური დემაგოგია.**

კიდევ ერთი ძალიან სერიოზული საფრთხეც: „გამომძიებელი ჟურნალისტები“ ხშირად ცდილობენ შეითავსონ ადვოკატის ფუნქცია – დაიცვან რომელიმე დაინტერესებული მხარის ინტერესები.

**საქმე ის არის, რომ ბუნებაში თითქმის არ არსებობს აბსოლუტურად ობიექტური ადვოკატი, ვინაიდან იგი ვალდებულია დაიცვას თავისი კლიენტის ინტერესები – სწორედ ამაში იღებს გასამრჯელოს.**

**ჟურნალისტის (რედაქციის) ამოცანა რადიკალურად განსხვავებულია – იგი ცდილობს, ზოგადად, სიმართლის დადგენას.**

შესაბამისად, თუ ადვოკატს ერთი მოწინააღმდეგე, ერთი მაგინებელი ჰყავს, ნიჭიერ და ობიექტურ (სიმართლის მაძიებელ) ჟურნალისტს ერთბაშად სამჯერ მეტი „მტერი“ უჩნდება – ორივე დაპირისპირებული მხარე და განმსჯელი ორგანო – სასამართლო.

საკუთარი გამოცდილებიდან ორიოდე მრავლისმთქმელ მაგალითს მოვიშველიებ.

ჯერ კიდევ კომუნისტების ზეობისას გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა საგამოძიებო და სასამართლო მასალებზე დაყრდნობით შექმნილი სტატია „უცხო ნათესავი“. იგი ეხებოდა მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენის მიერ ჩადენილ შემაძრწუნებელ დანაშაულს. მე, ავტორმა, ვცადე მკითხველისთვის დამენახვებინა, როგორ მივიდა 30 წლის სახელგანთქმული სპორტსმენი შემზარავ დანაშაულამდე და ბრალი დამედო არა მხოლოდ უშუალო დამნაშავის, არამედ არსებული საბჭოთა სამართალდამცავი სისტემისთვის. საქმე ის არის, რომ ვიდრე მცირეწლოვან ნათესავ გოგონას გააუპატიურებდა და მოკლავდა, სპორტსმენმა ბევრი სხვა დანაშაულიც ჩაიდინა: ბოროტი ხულიგნობა, ხანდაზმული ქალბატონის გაუპატიურება, მცირეწლოვანი ბიჭის გაუპატიურების მცდელობა... სამართალდამცველებისთვის ყველაფერი ეს თავის დროზე ცნობილი იყო, მაგრამ ავტორიტეტმა თავისი გაიტანა და დამნაშავე არ დაისაჯა. საბოლოოდ კი მოხდა ისეთი რამ, რისი დაფარვაც ავტორიტეტის ყოვლისშემძლე მფარველებმაც ვერ შეძლეს.

მაშინდელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამგვარი დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

სასამართლო განაჩენის აღსრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩემთან რედაქციაში გამოცხადდა დამნაშავის დედა. მისი პრეტენზია არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი იყო:

**შენ მოკალი ჩემი შვილი!**

სცადეთ და, სიკვდილით დასჯილის დედას აუხსენით, რომ მისი შვილი ჟურნალისტმა კი არა, საკუთარმა საქციელმა და მმართველობის მაშინდელმა სისტემამ იმსხვერპლა...

✦ ✦ ✦

**ერთმა** ჩემმა კოლეგამ შავებში ჩაცმული დარდიანი კაცი გამაცნო და მთხოვა, დავხმარებოდი – რამდენიმე წლის წინათ იგი ოჯახით ავტოავარიაში მოხვედრილა და იმ ტრაგიკული შემთხვევისას მისი 22 წლის ფეხმძიმე ქალიშვილი დაღუპულა.

შევისწავლე ამ შემთხვევასთან დაკავშირებული მასალები. შევხვდი მოწმეებს, დავათვალიერე შემთხვევის ადგილი და ორივე ნაავარიევი ავტომანქანა. გავეცანი ექსპერტების დასკვნებს, ადვოკატების, პროკურორის, მოსამართლის, მოსაზრებებს, მოწმეების ჩვენებებს... აღმოჩნდა, რომ ავტოავარიაში დამნაშავე მძღოლი შს სამინისტროს თანამშრომელი, მფარველთა წყალობით, რამდენიმე წლის განმავლობაში დაუსჯელი რჩებოდა. საქმე კი შეჩერებული იყო ბრალის დაუდასტურებლობის გამო.

გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე ხელახლა აღიძრა, დამნაშავე მძღოლი ოპერატიულად გაასამართლეს და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში რედაქციაში იმ რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე გვეწვია. გვთხოვა, ჩვენივე გაზეთით განეცხადებინა, რომ თავის დროზე დამნაშავე მძღოლის საქმის გამოძიებასა და გასამართლებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და პრესაში გამოთქმული პრეტენზიები მას არ ეხებოდა (მისი გვარი ჩემს სტატიაში ნახსენები არც ყოფილა). თხოვნა შევუსრულეთ.

მოსამართლის ამ უმტკივნეულო განმარტებას ყოვლად მოულოდნელი, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი შედეგი მოჰყვა: რედაქციაში გამოცხადდა სწორედ ის შავებიანი, დარდიანი ბატონი და სასტიკად გამლანძღა, რადგან იმ რაიონის მოსამართლეს, თუნდაც სავსებით ლოგიკურად, გაზეთში თავის მართლების საშუალება მივეცით!

**ჟურნალისტური გამოძიებით სიმართლის დადგენა მართლაც მძიმე და კეთილშობილური საქმეა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კეთილშობილური თავგამოდებისთვის მადლობის ნაცვლად, შესაძლოა, ალიყური დავიმსახუროთ...**

**დღევანდელ საქართველოში ჟურნალისტებისთვის უაღრესად საინტერესო უამრავი გამოსაძიებელი საქმეა. მართალია, შხამიანი მელაძე და, საერთოდ, ნაცლანი არ დამეთანხმება, მაგრამ, მოდი, გამოვიძიოთ, სინამდვილეში რას ემსახურება, საიდან იმართება ერთი შეხედვით აუხსნელი საპროტესტო ახალგაზრდული გამოსვლები; სინამდვილეში ვინ წარმართავს, ვინ და რატომ აფინანსებს ბინძურ, ანტისახელმწიფოებრივ ქუჩურ არეულობებს; კონკრეტულად, რა მიზანი აქვს ნაცოპოზიციის დაუნდობელ ბრძოლას ხელისუფლების დასაპატრონებლად; ვისთან და რა მიზნით მოგზაურობენ ნაცლიდერები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში; საიდან მოდის და რას ემსახურება ჩვენი ფლიდი ევროპელ-ამერიკელი „მეგობრების“ ანტიქართული განცხადებები; ვის ეკისრება პასუხისმგებლობა მოპროტესტეების მიერ სახელმწიფოსთვის, კერძო პირებისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად; ამდენი ხნის განმავლობაში რატომ არ გადაჰყავთ საპატიმროში კარგა ხნის გასამართლებული სააკაშვილი; რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებში პატიოსნად გამარჯვების დამაჯერებლად ახსნას „მეგობარი“ ქვეყნების წარმომადგენლებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის; რატომ ჰყვება ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ცრუ ლიდერების ცრუ მოწოდებებს; სინამდვილეში ვინ არიან და რისთვის იბრძვიან ე. წ. „პოლიტიკოსები“ მამუკა ხაზარაძე, გიორგი ვაშაძე, ნიკა გვარამია, გიორგი გახარია, ზურაბ ჯაფარიძე და სხვები...**

მოკლედ, დასადგენი და სასწრაფოდ გამოსაძიებელი მართლაც ბევრი სერიოზული საქმეა. ასე რომ, რექტორ სამუშიასა და კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელის ნაცნობობის გამოძიებაზე დროის დაკარგვა ნამდვილი უაზრობაა.

საბედნიეროდ, დღევანდელ საქართველოში ჟურნალისტური გამოძიების მცოდნე საკმაოდ ბევრი ადამიანია.





**თეიმურაზ ქორიძე**
01. 12. 2024

# მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა...



**და მაინც, ეჭვი გვღრღნიდა, ვაითუ, მოვლენები ისე არ წარიმართოს, როგორც ვვარაუდობთ, როგორც ლოგიკა გვიკარნახებს, რა იცი, ეშმაკს არ სძინავსო. არადა, დასტურ იყო მღელვარების საფუძველი: გადასაგორებელი იყო 25 ნოემბერი – XI მოწვევის პარლამენტის კურთხევის დღე!**

**ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადებოდა ორივე მხარე – პოზიციაც და ოპოზიციაც. ემზადებოდნენ საპარლამენტო არჩევნებიდან განვლილი მთელი თვე.**

ხელისუფლებას, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაეძლია ოპოზიციის გააფთრებული წინააღმდეგობა, გაჯერებული ათასი ჯურის აქციებით, მსვლელობებით, ქუჩების გადაკეტვებით, სამსახურებში შევარდნებით, დაუსრულებელი საბოტაჟით, შინ მიხდომებით, ცოლ-შვილის დაწიოკებით, ლანძღვა-გინებით... ოპოზიციას კი უნდა გადაეჭრა უდიდესი პრობლემა: „ოცნებისთვის" არ მიეცა პარლამენტის ამოქმედების საშუალება და ამით ხელისუფლებისთვის მიეყენებინა მძლავრი, დამანოკაუტებელი დარტყმა. აგროვებდა და წვრთნიდა ძალებს... მთელი რუსთაველი, რესპუბლიკის მოედანი, მელიქიშვილისა და ჭავჭავაძის პროსპექტები, კეკელიძე-ვარაზისხევის გზაჯვარედინი ტარას შევჩენკოს ძეგლითურთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი და ეზო მათ საწვრთნელ პოლიგონად იქცა. აქ მარშირებდნენ, დროშებს აფრიალებდნენ, ლოზუნგებს იზეპირებდნენ, ღია ცის ქვეშ ძილს ეჩვეოდნენ...

საპროტესტო არენად მელიქიშვილ-ჭავჭავაძის შერჩევა სრულიად შემთხვევით მოხდა, გეოგრაფიულ-სტრატეგიულად გამოფიტულმა ოპოზიციამ, რომელმაც აღარ იცოდა, რა მოეხერხებინა მისული ხალხისთვის, მისგან რომ რევოლუციის გეგმას ითხოვდა, რომელიც არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა, რადგან ამ გეგმის შესაქმნელად გაყიდული თავი არავის შეუწუხებია და ახლა ამ ხალხს ყოვლად უმიზნოდ და უაზროდ ზევით-ქვევით დაატარებდა. ერთ დღეს ერთი ასეთი მოხეტიალე ჯგუფი უნივერსიტეტთან სტუდენტთა რევოლუციურად აღერღილ მზვერავ რაზმს წააწყდა. ასე შეემატა რევოლუციას ახალი ძალა – სტუდენტობა და ახალი პროფილი.

თუმცა, ღამისთევისა და „ჯოს-ჯოს-ჯოს" ძახილის შემდეგ, თავგაბეზრებულმა ლიდერებმა პირდაპირ უთხრეს ხალხს, ის დროა, მომავალი რევოლუციური ბრძოლებისთვის შევინახოთ ძვირფასი თავებიო და მოუწოდეს, ვისაც პატრონი გყავთ, შინ წადით, დაისვენეთ, მერე, საჭიროების ჟამს დაგიძახებთო.

ბოლო დღეს, 25-ში, როცა თითქოს ნახევარი საქართველო მეორე ნახევარს უნდა დაჯახებოდა, როცა ლევან ხაბეიშვილის სისხლმოწყურებული მოწოდებისა არ იყოს, ერთმანეთს „ფიზიკურად" უნდა შებმოდნენ პარლამენტის შენობის ასაღებად, ის სავარაუდო ბრძოლის ველი-პარლამენტისწინა სივრცე სასეირნო არედ იყო ქცეული. ნაცვლად დაქადნებული ათასობით ოპოზიციონერი მებრძოლისა, კინკილა 500-600 კაცი მიმოდიოდა საკმაოდ მშვიდობიანი სახეებით და ჭყლეტა და მიწოლ-მოწოლა ფიქრადაც არავის გაუვლია. რა მოხდა? რა და ისე გადაღალეს ხალხი „პერმანენტული აქციებით", ისე ამოუყვანეს ყელში ეს მსვლელობები, ქუჩების გადაკეტვები და ამ გადაკეტვით გაღიზიანებულ მოქალაქეებთან კამათით, რომ სულ გაუნელეს რევოლუციური მგზნებარება. ან იქნებ მეორე ვარიანტი მოვსინჯოთ? ის, რომ ოპოზიციას ხმის მიმცემები კი ჰყავს გარკვეული რაოდენობით, მაგრამ თავგამოდებული მომხრეები და თანამებრძოლები – არა!

ერთი სიტყვით, პარლამენტის სხდომა საკმაოდ მშვიდ ვითარებაში წარიმართა. ოღონდ შემდეგ დღეებში სივრცე კვლავ ახმაურდა პრეზიდენტობის კანდიდატად პარლამენტარ მიხეილ ყაველაშვილის დასახელებასთან დაკავშირებით. ოპოზიციას კიდევ უფრო გაუტკბა ყავლგასული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც მხარდამჭერთა გასახარად აიღო და 25 ნოემბერს „შავი ორშაბათი" უწოდა.

აქ ერთი იაღლიში მოუვიდა ქალბატონ სალომეს. როგორც ჩანს, რაღაც შავი კატის მსგავსმა გაირბინა მასა და ოპოზიციის პოლიტიკურ ლიდერთა

## მკვდარს სიკვდილი არ აცალეს, ცოცხლად გაასვენესო



**მიიძურწებოდა სადღაც საზღვარგარეთ თბილისის აეროპორტში ნიკა გვარამია და ავი ღრენით იცილებდა ჟურნალისტებს — რატომ არ ხართ პარლამენტთან, ხალხის გვერდით? ...მისთვის სტრასბურგი იყო ევროკავშირის თავშეყრის ადგილი. იქვე აღმოჩნდა თინა ბოკუჩავაც, ოპოზიციის მეორე მგელი!..**

შორის: ოპოზიციური პარტიები დიდი ამბით აანონსებდნენ, რომ 26 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი გეგმავდა სიტყვით მიემართა ევროპარლამენტის სხდომისთვის, სადაც საქართველოს შესახებ რეზოლუცია უნდა მიეღოთ (გასაგებია, რომ ევროპული მიკროფონების მოყვარული ჩვენი ორატორი ქალბატონი ასეთ მომენტს ხელიდან არ გაუშვებდა). მერე ვიხილეთ აშკარად პაპარაცულად გადაღებული ტელეკადრები, როგორ მიძურწებოდა სადღაც საზღვარგარეთ თბილისის აეროპორტში ნიკა გვარამია და ავი ღრენით იცილებდა ჟურნალისტებს, რომლებიც ჩაძიებით ეკითხებოდნენ, სად მიბრძანდებით ბატონო ნიკა, რატომ არ ხართ პარლამენტთან, ხალხის გვერდითო.

მალე გაირკვა, რომ ეს „სად?" სტრასბურგი იყო, ევროკავშირის თავშეყრის ადგილი. იქვე აღმოჩნდა თინა ბოკუჩავაც, ოპოზიციის მეორე მგელი!..

რა მოხდა თბილისში? რატომ, როგორ გამოგლიჯეს ხელიდან სტრასბურგის საგზური ბებერ მგელს, ჯერჯერობით უცნობია, 25 ნოემბერს, საღამოს კი ორბელიანთა სასახლეში გამართულ ბრიფინგზე სალომე თავს ვერ მოერია და ახალგაზრდა კოლეგების მიმართ ბოღმა ამოანთხია: მე რომ სტრასბურგში წასვლა გადამეწყვიტა, როგორც აქამდე ყოველთვის, წინასწარ გეტყოდით, რისთვის მივდივარ, ვის ვხვდები, რას ვაკეთებ და როგორ დავბრუნდებიო!

ნიკა გვარამიას მიერ წლების წინათ შერქმეული მყრალი თიკუნი თურმე არ დავიწყებია სალომეს, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოაძვრინა ამნისტიით, ოპოზიციის ერთპიროვნულ ლიდერს უწოდებდა, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა შეეძლო. ახლაც, როცა 16 დეკემბერს საპრეზიდენტო ვადა ეწურება ძველს და 14 დეკემბერს ახალი პრეზიდენტის არჩევნებია ჩანიშნული, ხოლო 29 დეკემბერს – ინაუგურაცია (სწორედ ამაზეა ნათქვამი, **მკვდარს სიკვდილი არ აცალეს, ცოცხლად გაასვენესო**), ნიკა გვარამიამ სტრასბურგიდან მოუწოდა მომხრეებს, ყველა საშუალებით დაიცვან ორბელიანთა სასახლე, არ გააყვანინონ იქიდან სლომე და არ შეუშვან მიშა ყაველაშვილი.

ბარემ აქვე ვიტყვი. მე არ ვიცი, სტრასბურგში, თვით ევროპარლამენტის სხდომაზე შტირლიცივით ჩასული ნიკა გვარამია რა მოხელე-ჩიქვანი იყო, აი, სხდომის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე კი სწორედ რომ საქართველოს დამსმენად წარმოაჩინა თავი. საქართველოს ხელისუფლების „დანაშაულობათა" ვრცელი ჩამონათვალის შემდეგ მან თხოვნით მიმართა ევროპარლამენტარებს, **„არ დაიღალონ საქართველოსგან, რომ სწორედ ერთობლივი ძალის ფარგლებშია და საჭიროებს ჩვენს კონსოლიდირებულ მცდელობას, რათა შევაჩეროთ რუსი ოლიგარქი ივანიშვილი, სანამ კიდევ უფრო დიდ ზიანს მიაყენებენ ქართველებს და მთელ დასავლურ გეოპოლიტიკურ სტრუქტურას(!)"**. პირველი ნაბიჯები კი გვარამიასეული თქმით, უნდა იყოს

**„დასავლეთის მხრიდან პარლამენტის არალეგიტიმურად გამოცხადება. ეს უნდა ჩაითვალოს კონსტიტუციური წესრიგის მოშლად საქართველოში".**

ევროპარლამენტმა გადაჭარბებით შეუსრულა ეს სურვილები ნიკასა და მთელ ქართულ ოპოზიციას. 28 ნოემბერს კენჭი უყარა რეზოლუციას **„საქართველოს გაუარესებული დემოკრატიული კრიზისისა და უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო გაყალბების შესახებ"**, რომელსაც 444 პარლამენტარმა მისცა ხმა. დოკუმენტის თანახმად ევროპარლამენტი უარს ამბობს არჩევნების შედეგების აღიარებაზე და მოითხოვს ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს „გაუმჯობესებულ გარემოში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარჩევნო ადმინისტრაციის" მიერ. ევროპარლამენტმა კიდევ ერთხელ მოითხოვა არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, არამედ ირაკლი კობახიძის, კახა კალაძის, შალვა პაპუაშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის დასანქცირება. ამ რეზოლუციას არ მიემხრო 4 ქვეყანა: უნგრეთი, სლოვაკეთი, იტალია და ბულგარეთი. ევროპარლამენტარებმა მოუწოდეს ევროკავშირს და ევროპულ საბჭოს, შეწყვიტოს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ საქართველო არ იცავს დემოკრატიული მმართველობის შესაბამის სტანდარტებს (სხვათა შორის, ამ პუნქტს მხარი არ დაუჭირა გერმანიამ), რაც მთავარია, „რამდენადაც არჩევნების ლეგიტიმაციას უკიდურესად ავნო დარღვევების მასშტაბმა, საერთაშორისო საზოგადოებამ არ უნდა ცნოს მისი შედეგები".

### უარესი არ არსებობს!

ევროპარლამენტმა დაუნდობლად, გულგრილად და ლაღად გამოგვისვა ყელში დანა. რაც მთავარია, გაუგებარია, საიდან მოდის საქართველოსადმი ასეთი სიძულვილი და ბოღმა. ვალმოხდილ ნიკა გვარამიასა და თინა ბოკუჩავას არ დასცალდათ სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნება.

### მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა!

საქართველოს ხელისუფლებამ ჰაერშივე შეაჩერა ევროპარლამენტის მიერ მოქნეული მათრახი. იმავე საღამოს „ქართული ოცნების" ოფისში გაკეთებული განცხადებით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გვამცნო, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობს 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნაზე. მისი თქმით, ევროპელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები გამოყოფილ გრანტებს და სესხებს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟისთვის იყენებენ, ამიტომ 2028 წლის ბოლომდე ასევე უარს ამბობენ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე. 2028 წლის ბოლო არის ის დრო, როდესაც საქართველო იქნება მზად ეკონომიკური თვალსაზრისით, სათანადოდ მომზადებული, რათა გახსნას მოლაპარაკებები 2030 წელს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. (საგარეო საქმეთა მინისტრის მაკა ბოჭორიშვილის თქმით, დღეს არც ევროკავშირია მზად მოლაპარაკებებისთვის.)

**ამის თქმა იყო და ცა ჩამოიქცა. ევროპაზე ჭკუამოჭრილმა ჩვენმა მავნებელმა, მოღალატე ოპოზიციონერებმა, არიქა, „ოცნებამ" მომავალი მოგვისპო, ევროპა დაგვაკარგვინაო, უმალ შეავსო პარლამენტისწინა „სარევოლუციო" მოედანი. იმპროვიზებული მიტინგი მალე საშიშ ძალად იქცა და გარკვეული არაკონსტიტუციური მგზნებარება შეიძინა. ბოლოს მოხდა ის, რაც კარგა ხანია არ მომხდარა თბილისში. სამწუხაროდ, აშკარად მოტყუებული, აგრესიული მომიტინგენი ძალის გამოყენებით დაშალეს. თუ რამდენად მძლავრი იყო „მშვიდობიანი" მომიტინგეებისა და პოლიციელების შეჯახება, იმითაც ჩანს, რომ ცხვირპირდანაყილები ორივე მხრიდან საკმაოდ არიან.**

**მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ყველაფერს, მიუხედავად სტიქიურობისა, კარგად გამოკვეთილი პოლიტიკური სახე ჰქონდა და არა მხოლოდ ოპოზიციის დამსახურებით. გაბრაზებულ დემონსტრანტებს შორის იდგა პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და მასებს მოძღვრავდა: უკომპრომისო ბრძოლისკენ, ხელისუფლების დამხობისკენ, პოლიციელებს და ჯარისკაცებს კი ხალხის მხარეს გადასვლისკენ მოუწოდებდა (მსგავსი რამ სრულიად ახალია საქართველოს ისტორიაში). ორპარასკევდარჩენილი პრეზიდენტი ილუზორულ ვაგანკზე წავიდა. ვინ იცის, მის ამ გმირულ გამოსვლას შედეგად ორბელიანთა სასახლეში დარჩენა თუ არა, რევოლუციის ერთპიროვნული ლიდერობა მაინც მოჰყვეს...**

რა იქნება ხვალ? იმედი ვიქონიოთ, რომ ბრაზი განელდება, საღი აზრი გაიმარჯვებს და ქვეყნის მომავალი უფრო საიმედოდ და ნათლად გამოიკვეთება. და, რაც მთავარია, ხელისუფლება მოახერხებს საყოველთაო ნდობის აღდგენას, რათა აღარ ვიხილოთ ჩვენს ქუჩებში პოლიციასთან ჭიდილში დასისხლიანებული ახალგაზრდები!



**ალეკო ასლანიშვილი**

# როგორ შეიძლება შეწყვიტო მოლაპარაკება, რომელიც უკვე 1 თვის წინ შეწყდა?!



**საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირს სთავაზობს, რომ ახლავე დაიწყოს ჩვენს ქვეყანასთან გაწევრების შესახებ მოლაპარაკებები და ისინი მზად არიან, დოკუმენტს ხელი მოაწერონ.**

**როგორც მმართველ გუნდში ამბობენ, მოლაპარაკებების გახსნით შანტაჟი უნდა დასრულდეს და ამ ფონზე ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა.**

**პრემიერი ირაკლი კობახიძე ამბობს: „კეთილი ინებონ, თუ უნდათ მოლაპარაკებების გახსნა, დადონ მაგიდაზე და დღესვე მოვაწერ ხელს“.**

მთავრობის მეთაურის თქმით, მმართველ გუნდს შეეძლო, ბრიფინგზე ეთქვა, რომ უარს ამბობს ოთხი წლის განმავლობაში მოლაპარაკებების გახსნაზე, თუმცა ეს არ უთქვამს.

ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნა არის ფორმალური გადაწყვეტილება, რომელიც არ აჩქარებს ქვეყნის გაწევრებას ევროკავშირში. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მოლაპარაკებების გახსნის საკითხის დღის წესრიგიდან დროებით მოხსნას ექნება ერთადერთი პრაქტიკული შედეგი, ამ საკითხს ქვეყნის დასაშანტაჟებლად და საზოგადოების გასახლეჩად ვეღარავინ გამოიყენებს.

**„ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი მხრივ დღის წესრიგიდან ვხსნით ამ საკითხს შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში. ამდენი ხნის განმავლობაში, ორი წელი კანდიდატის სტატუსი გამოიყენებოდა შანტაჟისთვის. კატასტროფა იყო, რაც ხდებოდა ჩვენი ქვეყნის თავზე, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა სიმშვიდე ქვეყანაში. უკრაინაში ომის დაწყების დროს დაიწყეს ჩვენი ქვეყნის დაშანტაჟება კანდიდატის სტატუსით და ეს გაგრძელდა თითქმის ორი წელი. 2022 წლის თებერვლიდან 2023 წლის დეკემბრამდე გვაშანტაჟებდნენ კანდიდატის სტატუსით. შემდეგ გაცვდა ეს შანტაჟის ინსტრუმენტი, მოგვენიჭა კანდიდატის სტატუსი და დაიწყეს შანტაჟი უკვე მოლაპარაკებების გახსნით. ეს ყველაფერი გრძელდება უკვე სამი წელი და არის ხელოვნური ინსტრუმენტი, რითაც ცდილობენ საზოგადოების გახლეჩას, პოლარიზაციის გაღვივებას, რადიკალიზმის გაღვივებას. ეს ხომ უნდა დასრულდეს. ამიტომ ჩვენ ვამბობთ მარტივ რამეს, დასრულდეს შანტაჟი ამ ყველაფრით, კეთილი ინებონ, თუ უნდათ მოლაპარაკებების გახსნა, დადონ მაგიდაზე და დღესვე მოვაწერ ხელს. ჩვენ ვამბობთ ერთ რამეს, ჩვენი მხრიდან, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ეს საკითხი არ დადგება დღის წესრიგში იმისთვის, რომ არავის დავუტოვოთ შანტაჟის ინსტრუმენტი“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

იგივეს იმეორებს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი **მამუკა მდინარაძე.** როგორც მან თქვა, ისინი საკითხს 2028 წლამდე არ დააყენებენ, მაგრამ თუ ბრიუსელი თავად დადებს მაგიდაზე საბუთს, ნებისმიერ დროს ხელს მოაწერენ.

**„ჩვენი მხრიდან ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ასოცირების ხელშეკრულების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპული ვალდებულებების შესრულებაზე, თუმცა დღის წესრიგში არ იქნება დაყენებული მოლაპარაკებების გახსნის საკითხი იმისათვის, რომ ეს თემა ვინმემ შანტაჟის იარაღად არ გამოიყენოს. თუ ასეთი გადაწყვეტილება მათი მხრიდან იქნება, დადონ მაგიდაზე და დღესვე მოეწერება ხელი! კიდევ უფრო მოკლედ: ჩვენ საკითხს 2028 წლამდე არ დავაყენებთ, თავად დადონ მაგიდაზე და ნებისმიერ დროს ხელს მოვაწერთ, მგონი, რთული გასააზრებელი არ უნდა იყოს!“**

„საქართველოს საკითხს განიხილავს 27 წევრი სახელმწიფო მოახლოებულ საგარეო საქმეთა საბჭოს შეხვედრაზე 16 დეკემბერს, ყველა ვარიანტი მაგიდაზეა, მათ შორის საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეწყვეტის შესაძლებლობა“, – ასე პასუხობს საქართველოში ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი „ოცნებას“.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** მიიჩნევს, რომ საქართველოს შანტაჟს და ინსინუაციას ვერავინ შეძლებს. ქადაგიძე for.ge-სთან აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, გლობალურ „პოლიტკონიუნქტურშჩიკებს“, შანტაჟის ბერკეტი ხელიდან გამოეცალათ.

**„არადა ევროკავშირმა პირდაპირ გვითხრა, რომ ფეხებზე გვკიდია ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანი, სუვერენიტეტი, ხოლო როგორც ჩვენ გეტყვით ისე თუ არ მოიქცევით, დაგსჯითო. ამ სამშობლოს გამყიდველებს კი ერთი წუთითაც არ სწყენიათ. თავმოყვარეობაც კი არ შელახვიათ. ეს თავმოყვარეობა მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა უკვე ყელში ამოსულმა ხელისუფლებამ ამ აღვირახსნილ შანტაჟს შესაბამისად უპასუხა. კი ბატონო, დადონ ხელშეკრულება მაგიდაზე და როგორც კობახიძემ თქვა, მას ხელისუფლება ხელს მოაწერს. რა არის აქ გაუგებარი?**

**არადა, ზუსტად ერთი თვის წინ, ბორელიმ პირდაპირ გვითხრა – გაურკვეველი ვადით გადავდეთ მოლაპარაკებებიო. ასევე, ბორელიმ პირდაპირ გვითხრა – 120 მილიონს სახელმწიფოს მაგივრად, ექსტრემისტ არასამთავრობოებს მივცემთო. რამდენიმე დღის წინ ოთხმა პარტიამ წერილი გაუგზავნა ევროკავშირს, საქართველო სამაგალითოდ დასაჯეთო! უფრო მეტიც, რეზოლუცია მიიღეს, სადაც ლეგიტიმურად არჩეულ ხელისუფლების გაუქმებას და ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. ამხელა აფერის შემდეგ კი სააკაშვილის ლობისტები ისევ ახერხებენ და რეზოლუციაში მის გათავისუფლებას ითხოვენ. ამ ხალხზე როგორ შეიძლება ადეკვატურად ვიმსჯელოთ? ანუ, პირდაპირ გვითხრეს – ფეხებზე გვკიდია ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანი და თქვენი სუვერენიტეტი, როგორც ჩვენ გეტყვით ისე თუ არ მოიქცევით, დაგსჯითო“,** – ამბობს ქადაგიძე.

ამ შანტაჟის პასუხად, მთავრობამ დროული და აუცილებელი პასუხი გაუგზავნა – გაურკვეველი ვადით გადადებულ მოლაპარაკებას ვადას ჩვენ განვუსაზღვრავთ და ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად, 2028 წელს მოგმართავთო. ყველა გრანტსა და სესხზე უარს ვამბობთ და შესაბამის პროექტებსა და ღონისძიებებს ჩვენ დავაფინანსებთო. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ყველა თავმოყვარე ხელისუფლება უკვე ადეკვატურ პასუხს გაცსემდა ევროპარლამენტარების აღვირახსნილობას და ასეც მოიქცა „ოცნება“.

**„არადა, ყველაფერი რა მარტივი და პრიმიტიულია. ხომ წარმოუდგენელია, წყვეტდე მოლაპარაკებებს, რომელიც არც დაწყებულა და ერთი თვის წინ უკვე შეწყდა? ამიტომ ჯერ პატივი უნდა სცენ საქართველოს სუვერენიტეტს და ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას და შემდეგ დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან. სამოწყალო და დამადლებული არანაირი წევრობა არ გვინდა“,** – ამბობს ზურაბ ქადაგიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ევროკავშირს აქვს შესაძლებლობა, საქართველოს მოლაპარაკებები გაუხსნას



**„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით ბოლო დღეების განმავლობაში გაკეთებული განცხადებები სიცრუეა“, – განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ შესაბამისი კითხვის საპასუხოდ.**

მისი თქმით, მიმდინარე წლის დეკემბერში ევროკავშირს აქვს შესაძლებლობა, საქართველოს გაწევრებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გაუხსნას.

**„ჩვენ ორი დღის განმავლობაში, ვისმენდით ცრუ განცხადებებს, თითქოს, საქართველოს მთავრობამ შეაჩერა ევროინტეგრაციის პროცესი. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს ტყუილი და სამარცხვინო განცხადებაა, რომელიც, მათ შორის, ევროკავშირის ელჩისგან მოვისმინეთ. აქ იკვეთება ის სპეკულაციები და მანიპულაციები, რაც საქართველოსთან მიმართებაში აქვთ. მე გუშინაც ვთქვი, პრემიერმაც ძალიან მკაფიოდ განაცხადა, რომ დეკემბერში იმართება ევროკომისიის სხდომა. მათ აქვთ შესაძლებლობა, საქართველოს მოლაპარაკებები გაუხსნან. თუ ეს დგას დღის წესრიგში, არავინ ამბობს უარს ამაზე, როგორც ამას თავად წარმოაჩენენ. გახსნან მოლაპარაკებები და ნახონ, ხელისუფლება მიიღებს თუ არა ამას. შესაბამისად, ეს ყველაფერი „თითიდან გამოწოვილია“. ჩვენ, რა თქმა უნდა, ევროინტეგრაციის პროცესს ვაგრძელებთ, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი გვაქვს მოწერილი და რაც არის გათვალისწინებული, იმ დღის წესრიგს მივყვებით. 2028 წლისთვის ჩვენ 90%-ზე მეტი ვალდებულება გვექნება შესრულებული და უკვე მზად ვიქნებით, ევროკავშირში გაწევრებისთვის“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, დასავლელი პოლიტიკოსების ნაწილს საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ მოეწონა, ახლა კი საზოგადოების დაპირისპირებას ცდილობენ.

**„ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიც და მოლაპარაკებების გახსნაც ფორმალობაა და ამას თავადაც ამბობდნენ. ჯერ ხომ გვაშანტაჟებდნენ, სანამ კანდიდატის სტატუსს მოგვცემდნენ. ამას იყენებდნენ იმისთვის, რომ საზოგადოება ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ, მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება, რევოლუცია, სისხლისღვრა, მაგრამ არ გამოუვიდათ. დღეს, უკვე ახალი იარაღი აქვთ – მოლაპარაკებების გახსნა-არგახსნის სახით. ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, გახსნას მოლაპარაკებები, მაგრამ ისინი ამ ყველაფერს შანტაჟისთვის იყენებენ, რომ არეულობა მოახდინონ. მათ არჩევნებში მიღებული შედეგები არ მოეწონათ, აგენტურამ და ქვეყნის მოღალატეებმა რომ ვერ გაიმარჯვეს. შესაბამისად, დღეს, ყველაფერს აკეთებენ, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინონ“,** – დასძინა დედაქალაქის მერმა.

# ნაცმაიდნის განხორციელების საშუალებას ჩვენ მათ არ მივცემთ!



**„ნაცმაიდნის“ განხორციელების საშუალებას ჩვენ მათ არ მივცემთ“, – ამის შესახებ უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ 29 ნოემბერს განაცხადა, როცა პარლამენტის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციებს გამოეხმაურა.**

მდინარაძის თქმით, ადამიანებს აპროტესტებინებენ იმას, რაც მათ გუნდს არ უთქვამს.

**„ნაცმაიდნის“ განხორციელების საშუალებას ჩვენ მათ არ მივცემთ, გამორიცხულია. ჩვენი სწორი გადაწყვეტილებით ერთგვარად გადმოვწიეთ 16-20 დეკემბრის ძალიან ცუდი მოვლენები ცოტათი ადრე.**

**ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც არ მოიცავდა ევროინტეგრაციის არათუ შემაჩერებელ, არამედ შემაფერხებელ რაიმე ფრაზას, წინადადებას, ან სიტყვასაც კი. მსგავსი სიტყვა ჩვენს განცხადებაში არ არის.**

**პარადოქსია, რომ ხალხს აპროტესტებინებენ ისეთ რამეს, რაც ბუნებაში არ არსებობს. აქ მარტივია გავიაზროთ, რასთან გვაქვს საქმე. ეუბნებიან – თქვენ აპროტესტებთ იმას, რაც თქვა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ. აპროტესტებინებენ იმას, რაც არ უთქვამს ირაკლი კობახიძეს, რაც არ გვითქვამს ჩვენ.**

**ჩვენ ვიქნებით თუ არა მახვეწარის როლში? არა, არ ვიქნებით. თუკი ვინმე ჩათვლის, რომ მოსალოდნელ ვადაზე ადრე საქართველომ შეიძლება მიიღოს პრივილეგია და გაეხსნას მოლაპარაკებები, ვიდრე ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 90%-ს შეასრულებს, დღესვე მოვაწერთ ხელს.**

**გამოგვცადონ, არ უნდათ?! დადონ მაგიდასთან და დღესვე ვაწერთ ხელს. თუ ეს თეორიულად შესაძლებელია, გაგვტესტონ, გამოგვცადონ, დაგვსაჯონ – მათ ხომ ჰგონიათ, რომ ჩვენ ჩელიაბინსკში გავიღვიძებთ ერთ მშვენიერ დღეს, გამოგვცადონ და დღესვე ევროკავშირში გაწევრებაზე დაიწყონ საუბარი, დღესვე ვაწერთ ყველანაირ მსგავს დოკუმენტს ხელს დიდი, გულწრფელი სიხარულით“,** – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# გაუმარჯოს დანაშაულს! გაუმარჯოს ჯოჯოხეთს!

**უნდა ვაღიარო, რომ ამ პატარა წერილის დასაწერად მიბიძგა ჰეგელის ლექციებმა ესთეტიკაზე, კერძოდ, იმ ნაწილმა, სადაც გატარებულია აზრი, რომ მარტოოდენ ბუნების მოვლენად გარდაქმნა ნიშნავს სულიერ დეგრადაციას.**

სულიერის დაკარგვა და მარტო სხეულებრივ მოვლენად გარდაქმნა ის დიდი საშიშროებაა, რაც დასავლეთის განვითარებულ ერებს ემუქრება. „თანამედროვე ადამიანისთვის სინამდვილის ახალი უფსკრულები დასანახი გახდა და მისი გამოხატვა შესაძლებელი. როგორადაც არ უნდა ვუწოდოთ მას, იგი ჩვენს წინაშე მრავალგვარი ფორმით გამოდის და მრავალგვარად შეიძლება განიმარტოს. თუკი იგი განიცდება როგორც არარა, მაშინ იგი პარადოქსულ ძალას წარმოადგენს, რომელიც გამომწვევია. მაგრამ მას, როგორც წესი სხვა სახელები გააჩნია, ქაოსი ან ბოროტება. იგი ადამიანს აღწევს ავადმყოფობასა და სიკვდილში. მას ვპოულობთ ბუნების სფეროს კატასტროფებში, სიკვდილის განუზომლობაში, სასტიკ სულიერ ხვედრში და საშიშ ადამიანურ სისასტიკეში. მხატვრულ ლიტერატურაში იგი ხშირად ჩვენს თვალწინ გადაშლის ბოროტების პანორამას“.

აქ უმალ გვახსენდება ფრანც კაფკას პირქუში ფანტაზიის ქმნილება – მოთხრობა „გარდაქმნა“.

გრეგორ ზამზა, ჩვეულებრივი ადამიანი, ისე, რომ შინაგანად ადამიანადვე რჩება, საზიზღარ ხოჭოდ გარდაიქმნება. მას არ სურს თავისი შესახედაობით ოჯახის წევრები შეაწუხოს, მით უმეტეს შიში მოჰგვაროს და ამიტომ განმარტოვდება და სიმარტოვეში კვდება. იგი კვდება და ოჯახის წევრები მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავენ შვებით.

**საერთოდ გარდაქმნა, მეტამორფოზა ძველი სამყაროს გვიანდელი მისტერიების არსს განეკუთვნება. მაგრამ უკვე რომანტიკოსი მწერალი ლუდვიგ ტიკი (1773-1853) გარდაქმნას ჟრუანტელის მომგვრელ ნოველაში ასახავს, სახელწოდებით „ქერათმიანი ეკბერტი“.**

ახლა დავფიქრდეთ: ვინ დაკარგა სულიერება და ვინ გარდაიქმნა მარტოოდენ სხეულებრივ მოვლენად ჩვენს საზოგადოებაში? ამ კითხვას ადვილად უპასუხებს ყველა ჯანმრთელი ფსიქიკისა და ზნეობის მქონე ადამიანი: ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ლიბერასტების ფენად ჩამოყალიბდა (მართალია, გახრწნილი დასავლეთის მიმბაძველობითა და ხშირად მისი უშუალო ზეგავლენით. ასეთი „ზეგავლენა“ მე მახსენებს ილია ჭავჭავაძის ცნობილ მოთხრობას „გლახის ნაამბობი“, სადაც მშვენიერი, უმწიკვლო თამრო, თავისი საყვარელის ერთგული, მასზე სხვისგან ძალდატანებისა და გაუპატიურების შემდეგ ნამუსგარეცხილი მეძავად გარდაიქმნება: „მე ის თამრო აღარა ვარ...“



ლიბერალიზმს ასე განმარტავს ქართული უცხო სიტყვათა ლექსიკონი (თბ., 1989): „ლიბერალიზმი (ლათ. liberalis თავისუფალი) – **უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა, მავნე შემწყნარებლობა“.**

ვფიქრობ, ლიბერალიზმის ეს სული ყველაზე კარგად გამოვლინდა საფრანგეთის დიდ რევოლუციაში. აი როგორ ახასიათებს მას ძალზე თავისებური და ღრმა მოაზროვნე ფრანც ქსავერ ბაადერი (1765-1841), ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, საფრანგეთის რევოლუციის შემსწრე და მისი თანამედროვე (იხ. ფრანც ფონ ბაადერი, საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოწვეული მოთხოვნილება, რათა დამყარდეს რელიგიის პოლიტიკასთან ახალი და უფრო შინაგანი კავშირი, თბილისი 2023). იგი წერს: „თვალში საცემ და უდავო მტკიცებულებას დესპოტიზმთან და მონობასთან ქრისტიანობის სრულ შეუთავსებლობას იძლევა ჩვენი დროის ისტორია, ანუ ფრანგული რევოლუციის ისტორია, რომლის კორიფეები სამართლიანად თავს იქებენ, რომ ეს რევოლუცია მოახდინეს ქრისტიანული რელიგიის ამოძირკვითა და, ყოველ შემთხვევაში, მისი დისკრედიტირებით. სინამდვილეში ამ ხალხთან ვხედავთ, რომ სხვა ხალხებთან შედარებით, მათში გამქრალია რელიგიის ჭეშმარიტი ამაღლებული სული და მის წინაშე გულწრფელი მოწიწება. მათში მის

**...ეს ხომ სალომეა, ჰეროდიადას ასული, ყოველგვარ სილამაზეს მოკლებული, რომელიც იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილ თავს ითხოვს ლარნაკზე მორთმეულს და განა რას წარმოადგენს ამ ქალბატონისთვის საქართველოს მომავალი და მისი ჭეშმარიტი ინტერესები?!**



ნაცვლად დამკვიდრდა უხეში ქედმაღლობა და სულმდაბლობა და მაშინ, როდესაც თითქმის სახელმწიფო პოლიტიკა მთლიანად მიწიერი (ამაოება) გახდა, რევოლუციურმა მთავრობამ პირველად გამოაცხადა ხმამაღლა, უხეშად, ქედმაღლურად და ჯოჯოხეთური სულისკვეთებით, რომ იგი არა მხოლოდ უარს ამბობდა ყველა რელიგიაზე, არამედ სატანური სიგიჟით შეპყრობილი, მას ომს უცხადებდა...

დაბოლოს, **დესპოტიზმისა და ცოდვის ეს სული გამოცხადდა ერთ ადამიანში პერსონიფიცირებულად და ხორცშესხმულად და საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში თავისკენ მიიზიდა ყველა ქვეყნის ყველა ადამიანი, რომლებიც იმავე სულს ემონებოდნენ, დაუოკებლად და მაგიური ძალით, რადგან ისინი მასში ხედავდნენ თავიანთ საკუთარ სულს უძლიერესად წარმოჩენილს და ამ ადამიანს განიხილავდნენ როგორც ცოდვის მძლავრ მფარველ ბატონს.**

როდესაც ნაპოლეონი უკანასკნელად კვლავ გამოჩნდა საფრანგეთში, ლიონში მრავალი ჯარისკაცი გაჰყვიროდა: „ძირს მეფე, ძირს მღვდლები, ძირს რელიგია, ძირს სიკეთე! გაუმარჯოს იმპერატორს, გაუმარჯოს დანაშაულს, გაუმარჯოს ჯოჯოხეთს!“ იაკობინელთა მსოფლიოს დაპყრობის გეგმა ნამდვილად ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ ევროპის ყველა ხალხი გამოფიტა, რადგან მხოლოდ უზნეობა იძლევა ნამდვილ ენერგიას, რის გამოც ის ნაცია, რომელშიც სრული დექრისტიანიზაცია მოხდება, განახლებული წარმართული ენერგიით ყველა სხვა ნაციებს ან ადვილად დაიმორჩილებს ან მათ ასიმილაციას მოახდენს“.

ჩვენში ლიბერალიზმ-ლიბერასტულად ჩამოყალიბებული, გარდაქმნილი, უფრო სწორად გადაგვარებული საზოგადოების ნაწილი ასეთივე სულისკვეთების მატარებელია. ამიტომ სრულიად არ გამკვირვებია, როდესაც ზნეობისაგან დაცლილი და გადაგვარებულ-გარდაქმნილი ბრბო საშველად იმავე ევროპას უხმობს, სადაც ქრისტიანები გმინავენ ძველი სოდომ-გომორული ცოდვის აღორძინების გამო.

აქ რომ აშკარა ღალატია ტრადიციული ფასეულობების მატარებელი საქართველოს მიმართ უკვე არავითარ ეჭვს აღარ იწვევს. ღალატი საქართველოს ისტორიაში არაერთგზის მომხდარა ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ისტორიაში. მაგრამ ეს ღალატი განსაკუთრებული თვისებისაა: მასში შერეულია ლიბერასტული (თავისუფალი გაქანებით) სოდო-მაზოხისტური ჟინიანობა, რომელიც ცნობიერების უბნელესი შრიდან აღმოცენდა და ეშმაკის ხელმძღვანელობით ღმერთს დაუპირისპირდა.

**ეს უძველესი ცოდვაა, რის გამოც დაისაჯნენ ჩვენი წინაპრები – ადამი და ევა. ასე იჭრება პოლიტიკაში რელიგიური საწყისი.**

**თბილისის ქუჩებში მოდებულ ამ ბრბოს ყიჟინაში ყრუდ გაისმის სხვა ბრბოს ყიჟინი, უფრო დიდის, უფრო სასტიკის, უფრო დაწყევლილის. ეს ის ბრბოა, რომელსაც „პილატემ მიუგო და უთხრა მათ: თუ გნებავთ გაგითავისუფლებთ თქვენ იუდეველთა მეფეს“. ხოლო ისინი კვლავ აყვირდნენ: „ჯვარს აცვი იგი!“ (მარკოზი, თ. 15, 9–13).**

✦ ✦ ✦

**ორიოდე** სიტყვა ჩვენს პრეზიდენტზე, ქ-6 სალომეზე, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ბრბოს. და ეს ხომ სალომეა (ოსკარ უაილდის შალომე), ჰეროდიადას ასული, მართალია, ყოველგვარ სილამაზეს მოკლებული, რომელიც იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილ თავს ითხოვს ლარნაკზე მორთმეულს და განა რას წარმოადგენს ამ ქალბატონისთვის საქართველოს მომავალი და მისი ჭეშმარიტი ინტერესები?!

მკითხველი იკითხავს, გამოსავალს რაში ხედავო? მახსოვს, 1992 წლის დასაწყისში, ჩემი მეგობრის ზურაბ კიკნაძის გამოსვლა ტელევიზიით, როდესაც მან ჰიპოკრატეს გამოთქმა იხმარა მაშინდელი პრეზიდენტის მისამართით: **„რასაც წამლები ვერ ჰკურნავს, ჰკურნავს დანა; რასაც დანა ვერ ჰკურნავს, ჰკურნავს ამოწვა“.**

სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ.



**ვიქტორ რცხილაძე,**
**ფილოსოფიის დოქტორი.**

## წერილი აბაშიდან

# საკმარისია, ბატონებო!

**ამ ბოლო დროს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მაიძულა, ამეღო ხელში კალამი და გაზეთისთვის მიმემართა. იმ გაზეთისთვის, რომელიც ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში ასე ნათლად და ჯანსაღად რომ გამოხატავს პატრიოტთა ნებას.**

სამწუხაროდ, საქართველოში არცთუ ისე მრავლად, მაგრამ მაინც აღმოჩნდნენ ე. წ. ადამიანები, რომლებსაც საქართველო არ უყვართ. აბა რას მივაწეროთ ის ფაქტები, როცა ოპოზიციური პარტიები წინასაარჩევნო კამპანიებს არ მართავდნენ და ემზადებოდნენ არჩევნების შემდგომი პერიოდისათვის.

ნაცხროვამ, გვარამიას, მელიას, ბოკუჩავას და სხვათა მეშვეობით, საზოგადოებას არჩევნებამდე ამცნო, რომ ელექტრონული წესით არჩევნების ჩატარებისას გაყალბება გამორიცხულიაო. მოხდა საწინააღმდეგო, იგივე არამზადები არჩევნების შემდეგ გაჰყვირიან, რომ არჩევნები გაყალბდა! თუ სად, როგორ, რა მექანიზმებით გაყალბდა, ამას ვერ ხსნიან. ყველაფერი ის, რაც ამჟამად ხდება საქართველოში ორკესტრირებულია უცხო ქვეყნების საქართველოში ჩანერგილი აგენტების, ე. წ. ნაცხროვის

# ქალბატონო სალომე, თქვენ შეურაცხყავით ქართველი ხალხი!



**საქართველოს პრეზიდენტს ქ-6 სალომე ზურაბიშვილს!**

2018 წლის 16 დეკემბერს თქვენ გენდოთ და პრეზიდენტად აგირჩიათ ქართველმა ხალხმა.

თქვენი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა პოლიტიკურმა გაერთიანება „ქართულმა ოცნებამ“, რა თქმა უნდა, ამ პარტიის ფუძემდებლისა და ორგანიზატორის ბატონ ბიძინა ივანიშვილის წინადადებითა და რჩევით.

სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ თქვენ გახდით საქართველოს პრეზიდენტი. ამას ყველა ხედავდა და ხედავს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თქვენ გაგეგრძელებინათ ერთგული თანამშრომლობა იმ გუნდთან, რომელმაც პატივი დაგდოთ, თქვენ დაუპირისპირდით არა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“, თვით მის დამფუძნებელს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თქვენ დაუპირისპირდით ქართველ ხალხსაც და შეურაცხყავით ის.

ამით თქვენ დაკარგეთ ქართველი და არა მარტო ქართველი ამომრჩევლის ნდობა და რეიტინგი. ამჟამად არსებულ უკიდურესად კრიტიკულ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ბოლო წლების საქართველოში, ეს ყველაფერი მოსახლეობას უკარგავს ყოველგვარ იმედს და ნდობას, როგორც თქვენი საპრეზიდენტო პოლიტიკის მიმართ, ისე რადიკალური, მოღალატე ოპოზიციის მიმართ, რომლის ლიდერობაც თქვენ აიღეთ თქვენ თავზე! ამით მოსახლეობას თქვენი სამარცხვინო, მოღალატური მოღვაწეობის მიმართ კიდევ უფრო გაუცრუვდა იმედი და ქართველმა ხალხმა არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტი მხარდაჭერა გამოუცხადა..

სამწუხაროდ, თქვენ ეს რეალობა ვერ გაიგეთ და თქვენს შეცდომებზე კი არ დაფიქრდით, არამედ ქართველი ხალხი დაადანაშაულეთ, რომ რადიკალურ, მოღალატე ოპოზიციას არ დაუჭირა მხარი რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაში და არჩია მშვიდობის შენარჩუნება. სწორედ ქართველი ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერით მოახერხა „ოცნებამ“ ეროვნული ღირსების და ღირებულებების დაცვა.

ქართველი ხალხი არის მიმნდობი და არა უგუნური!

დიახ, თქვენ მხარი დაუჭირეთ ქართველი ხალხის ჩაბმას ომში და უსინდისოდ, ყოველგვარი ანალიზის გარეშე, შესანიშნავად ჩატარებულ არჩევნებს უწოდეთ „რუსული სპეცოპერაცია!“ ქართველი ხალხი არ არის ღირსი თქვენი შეურაცხყოფის და მოგიწოდებთ, მოიხადოთ ბოდიში და აგრეთვე თქვენს „რადიკალურ მხარდამჭერებსაც“ მოუწოდოთ ბოდიშის მოსახდელად...

**რამაზ ბეჟანიშვილი**
**არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია „ერისშვილების“ თავმჯდომარე.**

---

**თამთა მეგრელიშვილი:**

# საქართველო ზნეობრივი მაგალითი უნდა გახდეს ევროპისთვის!



**„გილოცავთ, 1 დეკემბრიდან საქართველოში ამოქმედდა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონი.**

**კანონის თანახმად განსაზღვრულია, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.**

**ამასთან, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის კავშირის, როგორც ქორწინების, რეგისტრირება ან სამართლებრივი აქტით ქორწინებად აღიარება დაუშვებელია.**

**ეს კანონი არის ზნეობრივი აქტი, რომელიც დაიცავს მომავალ თაობას უზნეობის პროპაგანდისაგან და უზნეობის ზნეობრივად დაკანონების ვალდებულებისაგან.**

**როგორც სამართალმცოდნეს, მიხარია რომ აქამდე არარსებული შესაძლებლობა უკვე გაჩნდა და გვაქვს სამართლებრივი უფლება უზნეოთა სურვილს მოაწყონ მსვლელობები და აწარმოონ მათი ცხოვრების წესის პროპაგანდა დავუპირისპირდეთ კანონის ენით! საქართველო ზნეობრივი მაგალითი უნდა გახდეს ევროპისთვის!“**

---

**ლევან იოსელიანი:**

# კანონი უპირველესად კანონდამცველმა უნდა დაიცვას

**საქართველოს სახალხო დამცველმა დიღომში მდებარე დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული აქციის მონაწილეები მოინახულა. ამის შესახებ ინფორმაციას ომბუდსმენის აპარატი ავრცელებს.**

ლევან იოსელიანის განცხადებით, 15-მდე დაკავებულიდან 2-ის გარდა, ყველა აცხადებს, რომ დაკავებისას საშინელ ფიზიკურ ზეწოლას დაექვემდებარა.



„ხილული დაზიანებები ძირითადად სახის არეში აქვთ მიღებული, თუმცა, ზოგიერთის თქმით, სხეულის სხვა ადგილებიც აქვთ დაშავებული. ერთ-ერთ დაკავებულს მთელი სახე სისხლნაჟღენთებით ჰქონდა სავსე.

რაც ვნახე, არის სიმხეცე, რომელსაც გამართლება არ აქვს. პოლიციას კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, დაკავებისას არ გადაამეტოს თავის უფლებამოსილებას.

კანონი უპირველესად კანონდამცველმა უნდა დაიცვას და დამნაშავესაც კანონის მიხედვით უნდა მოეპყრას. ყველას პასუხისმგებლობა უნდა დადგეს. ყველასი, ვინც აკავებს, ვინც საპოლიციო ოპერაციას ატარებს, და მერე ვინც იძიებს დაკავების პირობებს.

მივმართავ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ეფექტიანად გამოიძიოს თითოეული შემთხვევა. ასეთი საქმეების გამოძიების დაყოვნებამ მოიტანა ის, რომ აქციებზე წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხდება ძალადობის მსხვერპლი. ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც გამოუძიებელი რჩება და რომელზეც სახელმწიფო დროულად და ადეკვატურად არ რეაგირებს, მათი გამეორების ალბათობას ზრდის. ამიტომ ეს პროცესი უნდა შეჩერდეს.

ჩვენ ყველა ინფორმაციას გავასაჯაროებთ და ყველა ჩვენს ხელთ არსებულ მასალას გავუგზავნით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. ასევე, მივადევნებთ თვალს თავად გამოძიების მიმდინარეობას,“ – განაცხადა სახალხო დამცველმა მედიასთან საუბარში.

---

და მათი სატელიტური პარტიების მიერ. ამ მართლაც უსამშობლოებს, უოჯახოებს, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ერთად შეგროვილ ბანდას ვერ მოუნელებია „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული მიშიკოს იზოლირება. ყოვლად უსირცხვილოდ და უსინდისოდ გაიძახიან, არჩევნები გაყალბდაო. თუ სად, რომელ უბანზე და ვინაა ამის მოწმე, ვერ ამბობენ. თვითონაც ხომ არჩევნების მონაწილენი არიან და ნუთუ ერთმა მაინც სადმე ვერ დაინახა გაყალბების ფაქტი?! რა ქნან, საკუთარი ჭკუა არც ერთს არ გააჩნია და რასაც ქვეყნის გარედან კარნახობენ, ის უნდა გააკეთონ. დიდი ხანია ეს ქვეყნის გამყიდველები მოსაშორებელი არიან. რატომ ითრევდა ამდენ ხანს „ქართული ოცნება“ ფეხს, ისინი ხომ ავადმყოფები არიან, აბა დააკვირდით აქციებზე მათ საქციელს, სახეებს და მიხვდებით, რომ არანორმალურ, ფსიქიკური პრობლემების არსებებთან გვაქვს საქმე.

მე მათი არ მიკვირს, იმიტომ, რომ ისინი დღესაც სააკაშვილს მისტირიან. არსებას, რომელმაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაღვარა, ძალიან ბევრი ოჯახი გააუბედურა, ბიზნესმენებს შავი დღე აყარა, პატიმრები ციხეში აწამებინა, ხალხს ისე ართმევდა ქონებას, თითქოსდა ეს მათი მონაპოვარი ყოფილიყო. სახელმწიფო თავზე დაგვამხეს, 20 პროცენტი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიისა რუსებს ჩააბარეს, რუსებს მიყიდეს თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი. კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ უწოდეს. საუკუნეობით კოდორის ხეობაში მცხოვრები სვანები გამოდევნეს და დევნილებად აქციეს. ახლაც არ ისვენებენ, ვინაიდან ევროპაში თუ ამერიკაში რადიკალებს არ მოსწონთ „ლგბტ“-ს პროპაგადის და „გამჭვირვალობის“ შესახებ კანონი.

ყოველივე, რაც ხდება საქართველოში, ჩვენი ე. წ. „ვაი-პრეზიდენტის“ დამსახურებაა, რომელიც გაეხვია რა წმინდანის მანტიაში, ქართველებს თავი აგვარჩევინა „პრეზიდენტად“ და სავარძელში ჩაბრძანების შემდეგ ყველას უბოდიშოდ ალიყური გვაჭამა.




იგი დღეს იმათ გვერდით დგას, ვინც უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა და ფიზიკური განადგურებითაც კი ემუქრებოდა. ჩვენ კარგად გვახსოვს, მისი ინაუგურაციის მიმდინარეობისას რა ხდებოდა.

ასე როგორ უნდა დაეცე ადამიანი, რომ შენს შემგინებელს ჩაეხუტო და უგანო იმ ხალხს, ვინც მაგ სავარძელში ჩაგასკუპა.

მეც მენანება ჩემი თავი, რომ ხმა მას მივეცი. ჩემი შუათანა შვილიშვილი გვეუბნებოდა პრეზიდენტის არჩევნებამდე, რომ ეს ქალბატონი ნორმალური არ არისო. მართალი ყოფილა!..

რამდენიმე დღეც და დამთავრდება ეს ბაქანალია.

ახლა მინდა იმ ახალგაზრდებს მივმართო, რომლებიც საპროტესტო აქციებში არიან ჩართულნი. თქვენ ხართ ჩვენი ხვალინდელი დღე, კარგად გააცნობიერეთ, ვის უდგახართ გვერდში. თქვენი საქმე სწავლაა და ნუ გაიფუჭებთ მომავალს. იბრძოლეთ ჩვენთან ერთად მშვიდობიანი საქართველოსთვის!..

**ზაურ თელია,**
**აბაშის საპატიო მოქალაქე, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი.**

---

**ირაკლი გოგავა:**

# მიმდინარეობს საქართველოს ომში ჩართვის გამალებული მცდელობა!



**მიმდინარეობს საქართველოს ომში ჩართვის გამალებული მცდელობა! ამისთვის სახელმწიფო გადატრიალებას ლამობენ.**

**1992 წელს პირველ გადატრიალებას აფხაზეთის ომი მოყვა. მეორე გადატრიალებას 2004 წლის ცხინვალში საბრძოლო მოქმედებები და 2008 წლის ომი მოყვა. ყველა შემთხვევაში მსხვერპლი, დევნილები მივიღეთ და ტერიტორიები დავკარგეთ. მორიგი გადატრიალებაც ომისთვის სჭირდებათ, რასაც მეტი ტერიტორიების დაკარგვა და ქვეყნის ოკუპაცია მოყვება, ცხადია დიდი მსხვერპლით. ამის შემდეგ კი პარტიზანული მოქმედებები დაიწყება, რადგან ოკუპანტი დასახლებულ პუნქტებში შემოვა. სწორედ ეს სურს დღეს უცხოურ ომის პარტიას. ეს ჩვენი ქვეყნის გაჩანაგებას და დაშლას ნიშნავს.**

**„ევროპული მომავალი“, „დემოკრატია“, „თავისუფლება“ და სხვა მაღალი მატერიები ბრიყვების მოსატყუებელი ლოზუნგებია.არავინ ჩვენს მიღებას არსად არც აპირებდა და არც აპირებს – ეს დიდი ტყუილია ხალხის ნაწილის ასაყოლიებლად.**

**სახელმწიფო გაუმკლავდება ამ დამღუპველ გეგმას, რადგან რისკები ესმით. დასანანია, რომ ბევრი კრიტიკულ მომენტში უპასუხისმგებლობას იჩენს, თუმცა კარგი ისაა, რომ აგენტურის და სასარგებლო იდიოტების სრული ლუსტრაცია ხდება. მათ შემდეგ მოეკითხებათ – ზოგს კანონით, ზოგს მორალით.**

**ამ პროცესებს სატელევიზიო და ემოციური „ფუჩეჩი“ რომ მოვაშოროთ, უცხოურმა მეხუთე კოლონამ პიკზე 10,000 ადამიანი გამოიყვანა (პარლამენტის წინ მოედნის ფართობი 5000 კვ.მ., ხოლო სასარგებლო ფართობი, სადაც ადამიანი შეიძლება დადგეს კიდევ უფრო ნაკლებაა). ძალადობრივი აქციებისთვის 500-მდე გაწვრთნილი „შტურმავიკი“ ჰყავთ, საიდანაც ორასამდე უკვე დაკავებულია. სახელმწიფო სექტორში 500,000 მოხელეა და განცხადებები 800-მდე სასარგებლო იდიოტმა და ჩანერგილმა აგენტმა გააკეთა. ამიტომ, გადატრიალების რესურსი არა აქვთ.**

**ხალხი ვალდებულია იაქტიუროს სოციალურ ქსელებში, კომენტარებში, პირად საუბრებში. ვიყოთ მზად, დავიცვათ ქვეყანა და მშვიდობა ჩვენი შვილებისთვის.“**

# ევროკავშირი ქარიშხლის მოლოდინშია!



**ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი ახალი გუნდის შესაქმნელად ემზადება. ეს ნაბიჯი ემთხვევა დონალდ ტრამპის დაბრუნებას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.**

ევროკავშირის ახალი აღმასრულებელი შტო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. მათ შორის, უკრაინას ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას გაუზრდის თუ არა.

გარდა ამისა, ევროკავშირი უკვე დაპირისპირებულია მთავარ გლობალურ მოთამაშესთან – ჩინეთთან. ახლა, როგორც ჩანს, ახალი, თუმცა ნაკლებად აშკარა დაპირისპირების საფრთხის წინაშე დგას ვაშინგტონთანაც.

როგორც **Bloomberg** აღნიშნავს, ახალი გუნდს მუშაობა მოუწევს იმ დროს, როდესაც ევროკავშირის ტრადიციულ პოლიტიკურ ელიტას უჭირს ძალაუფლების შენარჩუნება და პოპულისტური მოძრაობები აღმავლობის გზაზე დგანან, რაც დამატებით ზერკეტს ქმნის ფონ დერ ლაიენისთვის

ახალი კომისია პოლიტიკოსებისგან შეიქმნება. ესპანელი სოციალისტი ტერეზა რიბერა თავისი ქვეყნის კლიმატის პოლიტიკის დიდი ხნის შემქმნელია და ცნობილია მდგრადობისა და გარემოსდაცვითი რეფორმების აქტიურობით. ის პასუხისმგებელი იქნება კონკურენციის პოლიტიკასა და კლიმატის გარდამავალ საკითხებზე. კენჭისყრამდე რამდენიმე დღით ადრე, ევროპის სახალხო პარტიის ფონ დერ ლაიენის მემარჯვენე ცენტრის ფრაქცია და სოციალისტები კონფლიქტში შევიდნენ რიბერას კანდიდატურის დადასტურების გამო.

ფრანგი სტეფან სეჟური, პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის პოლიტიკური მოკავშირე, ყურადღებას გაამახვილებს ინდუსტრიულ პოლიტიკაზე. მისი კომპეტენცია მოიცავს სტრატეგიულ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ევროპის ეკონომიკის ავტონომიის გაძლიერებას, წარმოების სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ინოვაციური ტექნოლოგიების პოპულარიზაციას. 2024 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა.

ესტონელი კაია კალასი, თავისი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უფროსი გახდება. ევროპაში მას „ფრონტთა ხაზის" ლიდერს უწოდებენ, რადგან რუსეთთან ურთიერთობა შეუძლია. მისი აქტიური პოზიციისთვის, კალასმა ფართო აღიარება მიიღო ევროპაში და ზოგიერთმა პუბლიკაციამ მას „ევროპის ახალი რკინის ლედი" უწოდა.

მაროშ შეფჩოვიჩი, გამოცდილი სლოვაკი დიპლომატი, ევროკომისიის ამჟამინდელი პრეზიდენტის მოადგილე და ამ ეტაპზე ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში. ის აიღებს პასუხისმგებლობას სავაჭრო, ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ევროკავშირსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ურთიერთობებზე. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება **Brexit**-ის მიმდინარე შედეგებზე. შეფჩოვიჩი ცნობილია არაერთი განცხადებით, რომელშიც ის ეწინააღმდეგება ევროპული სუპერსახელმწიფოს იდეას, ასევე საკვანძო უფლებამოსილებებს, როგორიცაა საგადასახადო და მიგრაციის პოლიტიკა და მის ევროკავშირის დონეზე გადაცემას. მან ასევე არაერთხელ ისაუბრა სლოვაკეთში ლგბტ უფლებების სტატუსის ცვლილებების წინააღმდეგ, მათ შორის სამოქალაქო პარტნიორობის შემოღებისა და ერთნაირსქესიანთა შვილად აყვანის დაშვების შესახებ.

ახალ კომისიაში ფინანსურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი მარია ლუის ალბუკერკი იქნება. ის პორტუგალიის ყოფილი ფინანსთა მინისტრია. მას მოუწევს რიგი ძირითადი საკითხების გადაჭრა, როგორიცაა ბლოკის ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ფინანსური ბაზრების კოორდინაცია გლობალური ეკონომიკური ცვლილებების კონტექსტში. ალბუკერკი, რომელიც ცნობილია მემარჯვენე ცენტრის შეხედულებებით, ასოცირდება ფისკალურ კონსერვატიზმთან. მის პოლიტიკურ კარიერას დიდი მოწონება აქვს, მაგრამ ასევე გამოიწვია ოპოზიციის კრიტიკა, რომელიც ამტკიცებს, რომ მისმა ქმედებებმა, რომლებიც მიმართული იყო ბანკების გადარჩენისკენ, ნეგატიური გავლენა მოახდინა სოციალურ სექტორებზე, რამაც გამოიწვია ქვეყნის (პორტუგალიის) ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

პრეზიდენტობის პირველი ვადით ფონ დერ ლაიენმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი უფლებამოსილება. ის აქტიურად იყო ჩართული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. კორონავირუსის გავრცელებამ პოლიტიკოსს დიდი გამოწვევა შეუქმნა 2019 წელს მისი პირველი ვადის დაწყებისთანავე. მისი ხელმძღვანელობის დროს ასევე ჩამოყალიბდა ევროკავშირის პასუხი უკრაინაში რუსეთის შეჭრაზე.

მოსალოდნელია, რომ მას მეორე ვადაში მოუწიოს ევროპის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების განხორციელება. ასევე, ამჯერად, დონალდ ტრამპის თეთრ სახლში დაბრუნების პერსპექტივა ბრიუსელს უფრო აქტიური მოქმედებისკენ უბიძგებს.

**France24**-ის ცნობით, ახალი კომისიის ერთ-ერთი პირველი ამოცანა სამხრეთ ამერიკულ **Mercosur**-ის ბლოკთან საკამათო სავაჭრო გარიგების საკითხის გადაჭრა იქნება. ევროპელმა ფერმერებმა უკმაყოფილება გამოთქვეს და შიშობენ, რომ მათი პროდუქცია ვერ გაუძლებს იაფ, სამხრეთ ამერიკულ საქონელთან კონკურენციას. ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირი მომავალ თვეში დაგეგმილ მონტევიდეოს სამიტზე აპირებს ბრაზილიასთან, არგენტინასთან, პარაგვაისთან და ურუგვაისთან შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დასრულებას.

ევროპის თავდაცვის გაძლიერება ასევე გახდა მთავარი პრიორიტეტი 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ და ტრამპის ხელახლა არჩევის პერსპექტივამ ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

„ჩვენ უნდა დავხარჯოთ მეტი, უფრო ეფექტურად დავხარჯოთ და ერთად დავხარჯოთ", – თქვა ფონ დერ ლაიენმა, როდესაც მან გამოაქვეყნა თავისი გეგმები მეორე ვადის შესახებ.

ევროკავშირის ისტორიაში პირველად დაინიშნება თავდაცვის კომისარი – ლიტველი ანდრიუს კუბილიუსი. ის იქნება პასუხისმგებელი ამ სფეროში მუშაობის კოორდინაციაზე. მას და კაია კალასს, საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს, დაევალათ ევროკავშირის თავდაცვის სტრატეგიის კონცეფციის შემუშავება პირველი 100 დღის განმავლობაში.

**სექტემბერში, ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა, რომ თითოეულ კომისარს ეკისრებოდა „თანაბარი პასუხისმგებლობა" პრიორიტეტების შესრულებაზე და თქვა, რომ ყველაფერი, რაც გავლენას ახდენს უსაფრთხოებაზე, პირდაპირ გავლენას ახდენს დემოკრატიაზე, რომ ის, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და რომ კლიმატისა და გარემოს საკითხები გავლენას ახდენს ადამიანებსა და ბიზნესებზე...**

**TRT-დან თარგმნა**
**ქეთი გიორგაძემ**

## გერმანიის საგარეო უწყება:
# საქართველო თუ დაბრუნებას გადაწყვეტს, მისთვის ევროკავშირის კარი ღია რჩება




**თბილისის პროტესტებიდან ჩანს, რომ ქვეყნის ბევრი მცხოვრები არ იზიარებს მთავრობის კურსს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ევროკავშირში გაწევრება სურს, –**

ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრისტიან ვაგნერმა განაცხადა.

„გერმანიის მთავრობა დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს საქართველოში მოვლენებს. თუ ქვეყანა მოლაპარაკებების გზაზე დაბრუნებას გადაწყვეტს, ევროკავშირის კარი ღია რჩება.

რაც შეეხება თბილისში პროტესტებს, ჩანს, რომ ქვეყნის ბევრი მცხოვრები არ იზიარებს მთავრობის კურსს და თვალსაჩინოა ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ევროკავშირში გაწევრიანება სურს. ამ ხალხს საკუთარი მოთხოვნების მხარდასაჭერად გამოსვლის სრული უფლება აქვს, სამართალდამცავი ორგანოებისგან თავშეკავებულობას და ძალადობაზე უარს ველით, – განაცხადა ვაგნერმა.

## ორბანი:
# ომი არასდროს ყოფილა ასეთი საშიში!

**– ასე გამოეხმაურა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი რუსეთის მიერ უკრაინის ქალაქ დნეპრზე „ორეშნიკის" რაკეტით განხორციელებულ დარტყმას.**

„ჩვენ რთულ ვითარებაში ვართ, არასდროს ვყოფილვართ ასე ახლოს მშვიდობასთან და ომი არასოდეს ყოფილა ასეთი საშიში", – განაცხადა უნგრეთის პრემიერმა.

ორბანმა ასევე თქვა, რომ ევროპარლამენტს ჯერ კიდევ სურს ომის გაგრძელება და მისი ინტენსივობის გაზრდაც კი.

„მათ თქვეს, რომ უკრაინელებს ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლამდე კიდევ უფრო მეტად უნდა დავუჭიროთ მხარი, ამას ამერიკაც დათანხმდა ბოლო დღეებში და სამწუხაროდ, ტრამპის ეფექტი ომში ჯერ არ იგრძნობა", – აღნიშნა ორბანმა.



# სირიელი მეამბოხეები ალეპოში იერიშით შევიდნენ!



**სირიელი მეამბოხეები ალეპოში იერიშით შევიდნენ. საბრძოლო შეტაკებებში, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა, 255 ადამიანი დაიღუპა. როგორც „დოიჩე ველე" წერს, მეამბოხე ძალები ასადის სამთავრობო ძალებს უპირისპირდებიან, რომელთაც, თავის მხრივ, ირანისა და რუსეთის მხარდაჭერა აქვთ.**

საბრძოლო მოქმედებები ოთხშაბათს ისლამისტური დაჯგუფების, „ჰაიატ თაჰრირ ალ-შამის" მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიწყო. მათ შეუერთდნენ თურქეთის მიერ მხარდაჭერილი მეამბოხე ძალები, რომლებიც საკუთარ თავს სირიის ეროვნულ არმიას უწოდებენ.

ალეპოში შესვლამდე მეამბოხე ძალებმა 50-ზე მეტ დასახლებაზე მოიპოვეს კონტროლი. გაეროს ცნობით, ბოლო სამი დღის განმავლობაში 27 მშვიდობიანი მოქალაქეა დაღუპული. 14 000-მდე ადამიანი იძულებული გახდა, საცხოვრებელი დაეტოვებინა!..

ჩვენ საქართველო
რესპუბლიკა

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემია მიენიჭათ:**

**1. აკადემიკოს მიხეილ საბაშვილის სახელობის პრემია –** სოფლის მეურნეობის დოქტორ **ზურაბ ბუკიასა და** ქიმიის მაგისტრ **ციცინო ათამაშვილს** ნაშრომისათვის – **„მცენარის სელექციური ჯიში – სასურსათო და სამედიცინო უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი“.**

**2. აკადემიკოს მიხეილ რჩეულიშვილის სახელობის პრემია –** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **თენგიზ ყურაშვილს,** ბიოლოგიის დოქტორ **ლევან ციცქიშვილსა** და ვეტერინარ ექიმ **კონსტანტინე ყურაშვილს** ნაშრომისათვის – **„ცხოველთა ინფექციური დაავადებები“.**

**3. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის სახელობის პრემია –** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **ედუარდ კუხალაშვილს,** აკადემიკოს **გივი გავარდაშვილსა და** ტექნიკის დოქტორ **შორენა კუპრეიშვილს** ნაშრომისათვის – **„ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“.**

**4. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ანდრო ნიჟარაძის სახელობის პრემია –** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **მარიამ ხოსიტაშვილს,** ტექნიკის დოქტორ **მარიკა მიქიაშვილს,** აგრარულ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორ **მირანდა გორგილაძესა და** ტექნიკის დოქტორ **მედეა ორმოცაძეს** ნაშრომისათვის – **„სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“.**

**5. აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემია –** სოფლის მეურნეობის დოქტორ **რეზო ვასაძესა** და **ზეინაბ ვასაძეს** ნაშრომისათვის - **„აჭარის მუქწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარიული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“** და **ბიოლოგიის დოქტორებს: მედეა ბურჯანაძესა** და **არჩილ სუპატაშვილს** ნაშრომისათვის – **„საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“.**

**6. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ პეტრე ჟღენტის სახელობის პრემია –** აკადემიკოს **სოლომონ პავლიაშვილს** ნაშრომისათვის – **„სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ცირკულარული ეკონომიკა“.**

# „საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი“...

## ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო გორში



**შემოდგომის დასალიერს – 20 ნოემბერს, გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლაში მრავლად შეკრებილ შიდა ქართლელებს ცისა და ერის ,,დანიშნულ-ზრდილი,“ რჩეული პოეტები: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, თანათავმჯდომარეები – ბაღათერ არაბული და ბადრი ქუთათელაძე სტუმრობდნენ.**

**ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს, სამმა რჩეულმა კალმოსანმა მართლაცდა ცისა და მიწის ჰარმონიასა და ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის პოეზიის მისტიურ სამყაროში გვამოგზაურა.**

– არ ვიცი, არც ვთვლი ეს მერამდენე საღამოა, რომელიც გორში ჩვენი ორგანიზებით ტარდება, მაგრამ ამჯერად ცოტა ვნერვიულობ. მინდა გამორჩეული იყოს ყველაფერი – სრული ჰარმონია ლექსსა და მუსიკას შორის... – ხმამაღლა აცხადებს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პოეტი და პროფესორი **დავით ახლოური.**

მერე, ვნებათაღელვა თანდათან ქრება და საპატიო სტუმრები საკუთარ ლექსებს კითხულობენ, ,,იხსენებენ ცნობილ ქართველ ხელოვანებს, მათთან ურთიერთობებს... ვგრძნობთ, როგორ ალამაზებს ჩვენს ყოველდღიურ პროზაულ ცხოვრებას ნამდვილ პოეზიასთან ზიარება.“

გორელ თანამოკალმეებს სამშობლოს სიყვარულით დამაშვრალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი მაყვალა გონაშვილი ახალი წიგნიდან, – ,,ქალის სახელით,“ – თანამოკალმეებს ლექსით მიესალმება:

***„არა მარტოდენ მამულის, ანდა,***
***არა მარტოდენ წინაპრის ვალით,***
***საქართველოში ათგზის ძნელია,***
***იყო პოეტი და იყო ქალი!..“***

როგორც იტყვიან, **„უფალი მხოლოდ მას მოჰმადლებს სახელს, ვინც მისგან ბოძებულ ნიჭს სიკეთის ქმნისათვის გამოიყენებს, სიკეთე კი, უპირველესად, ერისთვის სამსახური და კაცთათვის სამაგალითო ღვაწლია.“** ყოველივე ეს მიზანმიმართულად აქვს გათავისებული **თანამედროვე ქართველ მწერალთა წინამძღოლს. კარგად ესმის, ქვეყნის წინაშე თუ რაოდენ დიდი ვალი აქვს როგორც ქალსა და როგორც პოეტს. იცის, რომ ,,საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი.“**

**ოვაციები მოჰყვა ბაღათერ არაბულისა და ბადრი ქუთათელაძის გამოსვლებს, რომლებმაც დიდი ოსტატობით წაიკითხეს საკუთარი ლექსები.**

ნოემბრის ის ცრიაკი დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ საქართველოს მწერალთა კავშირში მიიღეს სამი ახალი წევრი – **მამა ბასილი (ფოსური), ციური ინასარიძე** და **ნათელა კუპრაშვილი**. ამასთან, ქართული კულტურის ამაგდარის წოდება მიენიჭა მწერალსა და კომპოზიტორს **ვახტანგ ცეცხლაძეს.**

მიმდინარე წელს 400 წელი შესრულდა ქართველთა უწმინდესი დედის – ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი აღსრულებიდან. წმინდანის სახელობის ენდალმით და მედალიონით გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგი **თამარ გიუნაშვილი** დაჯილდოვდა.

ბოლოს, დედაქალაქიდან მოწვეულმა სტუმრებმა, დამსწრე საზოგადოების მიმართ შესატანი მადლიერება გამოხატეს ქართლელთა გულთბილი მასპინძლობისთვის.

**რობერტ ოდიკაძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# გურამ რჩეულიშვილის საფლავის რესტავრაციის სამუშაოები გრძელდება

**2024 წელი გურამ რჩეულიშვილის საიუბილეო წელიწადია – წელს ის 90 წლის გახდებოდა.**

საქართველოს მწერალთა სახლის ინფორმაციით, ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად, ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მწერლის შემოქმედების უფრო მეტ პოპულარიზაციას და მისი პიროვნებისა და შემოქმედების უდიდესი მნიშვნელობის წარმოჩენას თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

„მწერალთა სახლის ინიციატივითა და მის მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში 19 000 ლარით დააფინანსა გურამ რჩეულიშვილის საფლავის რესტავრაციის პროექტი, რომლის სამუშაოებიც ამჟამად მიმდინარეობს.

მწერლის საფლავის რესტავრაციის პროექტი წარმოადგენს კომპლექსურ ღონისძიებას და ითვალისწინებს მემორიალური ძეგლის აღდგენასა და მოვლა-პატრონობას, რომლებსაც ახორციელებს ა(ა)იპ თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია.





**მოსამზადებელი ფაზის ფარგლებში მოხდა:**

***• საფლავის მდგომარეობის დეტალური შესწავლა და ფოტო-დოკუმენტაციის შედგენა;***
***• სარესტავრაციო გეგმის შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალისტებთან ერთად;***
***• საჭირო ნებართვების მოპოვება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები.***

***ამჟამად მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები, რაც გულისხმობს:***

***• საფლავის გაწმენდასა და მომზადებას;***
***• დაზიანებული ელემენტების აღდგენასა და ისტორიული იერსახის შენარჩუნებას;***
***• მემორიალური დაფის განთავსებას.***

**დეკემბრის ბოლოს დაგეგმილია დასკვნითი ღონისძიებები:**

***საზეიმო გახსნის ცერემონია;***
***ლიტერატურული საღამო მწერლის ნაწარმოებების წარმოსაჩენად;***
***დოკუმენტური მასალების გამოფენა.***

გურამ რჩეულიშვილის საფლავის განახლება სცილდება ტექნიკურ ღონისძიებებს და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ეროვნული მწერლის ხსოვნის პატივისცემის და ახალი თაობისთვის ლიტერატურული შთაგონების მნიშვნელოვან მაგალითს.

პროექტი აერთიანებს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს – რესტავრატორებს, კულტურის ექსპერტებს, ლიტერატურათმცოდნეებს და საზოგადოების აქტიურ წევრებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული კულტურის დაცვა საერთო პასუხისმგებლობაა.

დასრულებული პროექტი საზოგადოებას შესთავაზებს არა მხოლოდ განახლებულ მემორიალს, არამედ ისტორიული და ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობის ახალ შესაძლებლობებს“, – აღნიშნულია მწერალთა სახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მთავარი სამიზნე ჯგუფი სწორედ ახალგაზრდობაა

## ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თბილისის მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ.**

„ამ თანამშრომლობით მიღებული სარგებელი დიდი იქნება ეროვნული ბიბლიოთეკისთვის. ჩვენ გვაქვს ილია ჭავჭავაძის კაბინეტი მისი პირადი ბიბლიოთეკითა და მაგიდით, მაგრამ ამ შენობის ფასადი არ არის კარგ მდგომარეობაში, რაშიც მერიის თანადგომა დაგვჭირდება“, – განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

„კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან ერთად დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, გამოცემები, საჯარო ლექციები. ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სამიზნე ჯგუფი სწორედ ახალგაზრდობაა. ამ თანამშრომლობის შედეგებს, იმედია, მალე ვიხილავთ“, – თქვა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა.

საქართველოს რესპუბლიკა
სპორტი
№138. ორშაბათი, 2 დეკემბერი, 2024 წელი

◎ ლეგიონერები

# მიქაუტაძის ყარაბაღი



**ევროპა ლიგის მეხუთე ტურში „ლიონმა" სტუმრად „ყარაბაღი" 4:1 დაამარცხა, გიორგი მიქაუტაძემ კი დუბლი შეასრულა.**

ქართველი თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-15 წუთზე სწორედ მან გახსნა ანგარიში, როცა ახლო მანძილიდან ერთი შეხებით დალაშქრა მეტოქის კარი, მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კი, გიორგიმ საჯარიმოში ძალიან ტექნიკურად ითამაშა, მცველი და მეკარე ერთი მოძრაობით მოატყუა, მერე კი, რბილი დარტყმით გაიტანა, რითაც ანგარიში 4:0 გახადა.

მიქაუტაძემ ევროტურნირებზე კარიერაში პირველი გოლები გაიტანა. მიმდინარე სეზონში ევროპა ლიგაზე ქართველს ოთხ შეხვედრაში ორი ბურთი აქვს გატანილი, ხოლო ლიგა 1-ის 12 მატჩში თავი ორი გოლით (დუბლი „ოსერთან") და 1 შედეგიანი პასით გამოიჩინა.

„ლიონი" ევროპა ლიგაზე ხუთი ტურის შემდეგ 10 ქულით მეექვსე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 12 დეკემბერს, „აინტრახტს" უმასპინძლებს.

იმავე დღესვე, ევროპა ლიგაზე ლატვიური რფს შინ სალონიკის პაოკთან 0:2 დამარცხდა. **ლაშა ოდიშარიამ** შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **ლუკა სილაგაძე** მოედანზე 28-ე წუთზე გამოჩნდა, როცა ტრავმირებული თანაგუნდელი შეცვალა. რფს 2 ქულით ბოლოსწინა, 35-ე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 12 დეკემბერს, თელ ავივის „მაკაბის" ესტუმრება.

კონფერენს ლიგაზე ნიქოზიის „აპოელმა" სტუმრად „მიოლდე" 1:0 დაამარცხა. **ლაშა დვალი** სათადარიგო სკამზე იყო და თამაშის საშუალება არ მისცემია. „აპოელი" 7 ქულით მე-10 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 12 დეკემბერს, სტუმრად სომხურ „ნოას" შეხვდება.

დანიურმა „კოპენჰაგენმა" მინსკის „დინამო" სტუმრად 2:1 დაამარცხა. **გიორგი გოჩოლეიშვილი** ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ 50-ე წუთზე ტრავმის გამო შეცვალეს. ჯერჯერობით უცნობია დაზიანების ხარისხი. „კოპენჰაგენი" 5 ქულით მე-19 ადგილზეა და მომდევნო ტურში 12 დეკემბერს, შოტლანდიურ „ჰართსს" უმასპინძლებს.

◎ ახალი ფორმატით

# 32-ეც ცნობილია




**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი აშშ-ში 2025 წლის ზაფხულში ახალი ფორმატით ჩატარდება, რომელშიც 32 გუნდი ითამაშებს.**

ამ ფორმატით ტურნირი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება. მას შემდეგ, რაც „ბოტაფოგომ" ლიბერტადორესის თასი მოიგო, უკვე ყველა, 32-ვე მონაწილე ცნობილია.

საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები, ჩემპიონთა ლიგის, ლიბერტადორესის თასის, აზიის და აფრიკის ჩემპიონთა ლიგებზე ბოლო ოთხ სეზონში ნაჩვენები შედეგების მიხედვით გამოვლინდნენ.

**შესაბამისად, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ითამაშებენ:**

ალ-ჰილალი (საუდის არაბეთი), ურავა რედ დაიმონდსი (იაპონია), ალ-აინი (არაბეთის გაერთიანებული საამიროები), ულსანი (სამხრეთ კორეა), ალ აჰლი (ეგვიპტე), ვიდადი (მაროკო), ესპერანსი (ტუნისი), მამელოდი სუნდოწსი (სამხრეთ აფრიკა), მონტერეი (მექსიკა), სიეტლი (აშშ), ლეონი (მექსიკა), პაჩუკა (მექსიკა), პალმეირასი (ბრაზილია), ფლამენგო (ბრაზილია), ფლუმინენსე (ბრაზილია), რივერ პლეიტი (არგენტინა), ბოკა ხუნიორსი (არგენტინა), ბოტაფოგო (ბრაზილია), ოკლენდ სიტი (ახალი ზელანდია), ჩელსი (ინგლისი), რეალი (ესპანეთი), მანჩესტერ სიტი (ინგლისი), ბაიერნი (გერმანია), პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი), ინტერი (იტალია), პორტუ (პორტუგალია), ბენფიკა (პორტუგალია), დორტმუნდი (გერმანია), იუვენტუსი (იტალია), ატლეტიკო (ესპანეთი), ზალცბურგი (ავსტრია), ინტერ მაიამი (აშშ, მასპინძელი).

ტურნირის ფორმატით 32 გუნდი რვა 4-გუნდიან ჯგუფში განაწილდება, საიდანაც ორ-ორი საუკეთესო მერვედფინალიდან პლეი-ოფის სისტემით გააგრძელებენ ბრძოლას.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2025 წლის 15 ივნისიდან 13 ივლისამდე აშშ-ში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ასეთი ფორმატით საკლუბო მუნდიალი პირველად ჩატარდება.

## მიძღვნა

# „ოქროს ბიჭების დაბრუნება"



**მიმავალი წელიწადი დახუნძლულია მრგვალი თარიღებით, მაგრამ თუ, მაგალითად, ლანჩხუთის გურიას საუკუნოვანმა იუბილემ კანტი-კუნტად მაინც გაიჟღერა საინფორმაციო საშუალებებით, თბილისის დინამოს მიერ 2004-ში მოპოვებული დსთ-ს ჩემპიონთა თასი ან თუნდაც იმავე სეზონში უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე ქართული გუნდის პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად გასვლა, სამწუხაროდ, არავის გახსენებია.**

ამ მხრივ შედარებით სასიამოვნო გამონაკლისს ტაშკენტის ტრიუმფის 60-წლოვანი იუბილე წარმოადგენს, რომელსაც ტევადი ფოტოალბომი მიუძღვნა უკვე წიგნის უმდიდრესი თაროს ახალგაზრდა ავტორმა **ლაშა გოდუაძემ** (რედაქტორი – **მარი ჯავახიშვილი**, არტრედაქტორი – **ზაზა ასანიშვილი**, ფოტორედაქტორი – **ეკა თევზაძე**, სტილი, კორექტურა – **ირმა ლადიძე**, ყდა – **დაჩი გოდუაძე**, ფოტო-გაზეთები ლელო, ფეხბურთ-ჰოკეი, ლაშა გოდუაძის არქივი და სპორტ.გოვ.ჯი. გამოიცა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით).

ბარაქიანი უზბეკური შემოდგომის შემოქმედ მაშინ ჯერაც ცოცხალ რამდენიმე ოქროს ბიჭსა და ქართულ დელეგაციას ჩვენი ძვირფასი კოლეგა 10 წლის წინათ უმნიშვნელოვანესი მოვლენის ნახევარსაუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებაზე უშუალოდ მოსკოვის ტორპედოსთან ძლევა მოსილად გადატანილი ბრძოლის ველზე თავადაც ახლდა და შემოთავაზებული მისი მორიგი სამაგიდო ნამუშაკევი ძირითადად მაშინ დაჭერილ კადრებს ასახავს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროსვე დებიუტანტი ფოტორეპორტიორი ისეთივე მაღალი გემოვნებითა თუ ოსტატობით გამოირჩეოდა, როგორც მაპროფილებელი მიმართულებით – კალმოსნობაში.

თქვენის ნებართვით, ამჯერად ინტრიგას არ ჩაგიკლავთ და საყურადღებო კრებულის გადაფურცვლის ინტერესს შეგინარჩუნებთ, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს გაგაცნობთ „ოქროს ბიჭების დაბრუნებიდან":

თუ დამატებითი მატჩის 120 წუთი ფრედ დასრულდებოდა, სატიტულო ბრძოლის გადათამაშება, სავარაუდოდ, 5 ან 6 დეკემბერს დაინიშნებოდა, რადგან მეტოქე გუნდების რჩეულნი მეორე დღესვე საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში იუგოსლავიაში მიფრინავდნენ, მკითხველის წინაშეა ილია დათუნაშვილი ზუსტად იმ ადგილიდან, საიდანაც ისტორიული კუთხური ჩაახვია; დაუვიწყარ 18 ნოემბერს არ უთამაშიათ კავაზაშვილსა და ბატანოვს, თუმცა ის მიზეზი, რომ თითქოს ისინი ტრავმირებულნი იყვნენ, დღემდე კითხვის ნიშნებს ბადებს, განსაკუთრებით ბატონ ანზორთან დაკავშირებით მისივე წარმომავლობის გათვალისწინებით; პახტაკორის სტადიონის დირექტორი 60 წლის წინათ ვინმე ა. სააკიანცი ყოფილა; რაც შეეხება 2014 წელს გამართულ დინამოსა და პახტაკორის ვეტერანთა საიუბილეო მატჩს (4:4) სტუმართაგან 2-2 გოლი ქვეყნის მომავალმა პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა და გიორგი დემეტრაძემ გაიტანეს, გუნდს კი ახლახან გარდაცვლილი მალხაზ მახარაძე კაპიტნობდა.



2014 წლის 18 ნოემბერი. ტაშკენტის პახტაკორის სტადიონი. ილია დათუნაშვილი ისტორიული კუთხურის ადგილზე

◎ ოკეანის გაღმა

# სტატისტიკას, გამარჯვებას

**გოგა ბითაძის „ორლანდო მეჯიქმა" ბოლო თორმეტი შეხვედრიდან მეთერთმეტე მატჩი მოიგო. ფლორიდელებმა ამჯერად ნიუ იორკის შემოგარენში „ბრუკლინ ნეთსთან" გაიმარჯვეს – 123:100.**

ქართველი ცენტრი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო, მოედანზე 26 წუთი გაატარა და ამჯერად თავი დაფარებებით გამოიჩინა: მის ანგარიშზე 5 ბლოკ-შოტი, 8 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრაა. სასტარტოში იყო სეზონის დასაწყისში ორლანდოს ნომინალური ცენტრი ვენდელ კარტერიც. მან გოგაზე 1 წუთით მეტ ხანს ითამაშა და უფრო შედეგიანი იყო – 12 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი. ორლანდოელთაგან ქულების მხრივ საუკეთესო გერმანელი ფრანც ვაგნერი იყო – 29 ქულა.




„მეჯიქს" 14 მოგება, 7 წაგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-3 ადგილზეა. იგი ოთხი გამარჯვებით ჩამორჩება ლიდერ „კლივლენდს".

ბითაძეს მომდევნო მატჩი კვლავ ბრუკლინში 2 დეკემბერს ელის.

◎ ოქტაგონს მიღმა

# ფხუკიანი

მას შემდეგ, რაც **მერაბ დვალიშვილი** პიოტრ იანის გამოწვევას დათანხმდა, რუსმა UFC-ს მებრძოლმა უმარ ნურმაგომედოვმა სოციალურ ქსელ X-ზე (ყოფილი ტვიტერი) მერაბ დვალიშვილს მიმართა.

**„ლაჩარი ყოველთვის იპოვის გზას, რათა უკან დაიხიოს. ქართული ანდაზა"** – ეს სიტყვები დაწერა უმარმა საკუთარ გვერდზე, რასაც მალევე ქართველი „მანქანა" გამოეხმაურა.

**„ეს არის მიზეზი იმისა, რომ უმარს და მის მწვრთნელს დიდი ხანია პატივს აღარ ვცემ. ისინი ბინძურ თამაშს თამაშობენ და სოციალურ ქსელში სისულელეებს წერენ, რითაც ჩემი ქვეყნის მიმართ უპატივცემულობას გამოხატავენ. როცა პირადად შეგხვდები, ვნახოთ რა მოხდება",** – განაცხადა მერაბ დვალიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მერაბ დვალიშვილი UFC-ის ზემსუბუქი წონის ჩემპიონია და მისი პირველი სატიტულო ბრძოლა შესაძლოა პიოტრ იანთან რემატჩი იყოს.

# საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
# არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

**საქმე №01-189/2024**
**ქ. თბილისი**

**28 ნოემბერი, 2024 წელი**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრმა ლალი გოჩელაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

## გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ" შპს „ნოვა ჰოლდინგის" და სხვათა მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაციის შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნათ მოპასუხეებს შპს „ნოვა ჰოლდინგს", შპს „ულტრა პლიუსს", ზაურ გაბაიძეს, გიორგი ჯაიანს, ნათია შავაძეს და დავით თოდუას, მაგრამ მისამართზე არყოფნის გამო საფოსტო გზავნილები ადრესატებს ვერ ჩაბარდათ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მოპასუხეებს სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

## ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

## დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. მოპასუხეებს შპს „ნოვა ჰოლდინგს", შპს „ულტრა პლიუსს", ზაურ გაბაიძეს, გიორგი ჯაიანს, ნათია შავაძეს და დავით თოდუას საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" საარბიტრაჟო სარჩელი შპს „ნოვა ჰოლდინგის", შპს „ულტრა პლიუსის", შპს „ბულვარის", ზაურ გაბაიძის, გიორგი ჯაიანის, ნათია შავაძის და დავით თოდუას მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაციის შესახებ.

### სასარჩელო მოთხოვნა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე შპს „ნოვა ჰოლდინგს" და ზაურ გაბაიძეს ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სასარგებლოდ დაეკისროს 2 537 565.22 აშშ დოლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელის 30 000 ლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის საფუძველზე დადგინდეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების რეალიზაცია.

იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციისას სრულად არ დაკმაყოფილდება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" მოთხოვნა, აღსრულება მიექცეს შპს „ნოვა ჰოლდინგის" და ზაურ გაბაიძის კუთვნილ ნებისმიერ ქონებაზე. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ ბანკმა პირველ რიგში, იძულებითი აღსრულება დაიწყოს უზრუნველყოფის საგნებიდან. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს შპს „ნოვა ჰოლდინგის" და ზაურ გაბაიძის კუთვნილ სხვა ქონებაზე.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედ არბიტრაჟში წარმოადგინოთ წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) მხარეთა სახელწოდებები;

ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);

გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;

დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. შპს „ნოვა ჰოლდინგს", შპს „ულტრა პლიუსს", ზაურ გაბაიძეს, გიორგი ჯაიანს, ნათია შავაძეს და დავით თოდუას ეცნობოთ, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2024 წლის 18 დეკემბერს, 16:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 30, სართული 2, ბინა 5.

4. შპს „ნოვა ჰოლდინგს", შპს „ულტრა პლიუსს", ზაურ გაბაიძეს, გიორგი ჯაიანს, ნათია შავაძეს და დავით თოდუას განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

5. შპს „ნოვა ჰოლდინგს", შპს „ულტრა პლიუსს", ზაურ გაბაიძეს, გიორგი ჯაიანს, ნათია შავაძეს და დავით თოდუას ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრი ლალი გოჩელაშვილი, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. შპს „ნოვა ჰოლდინგს", შპს „ულტრა პლიუსს", ზაურ გაბაიძეს, გიორგი ჯაიანს, ნათია შავაძეს და დავით თოდუას განემარტოთ, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. შპს „ნოვა ჰოლდინგს", შპს „ულტრა პლიუსს", ზაურ გაბაიძეს, გიორგი ჯაიანს, ნათია შავაძეს და დავით თოდუას განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0 და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე acg.org.ge/img/debuleba.pdf

8. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა".

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.




# თბილისში შვილმა დედა მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა

**მკვლელობა საბურთალოზე მოხდა. მოკლული 49 წლის ნინო ხოჭოლავაა.**

**უმძიმესი ფაქტის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავად დამნაშავემ გაავრცელა. ვიდეოში ის ყვებოდა გარემოებებს, რის გამოც ჩაიდინა მკვლელობა.**

**გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ბიჭი ყვება, რომ მას ფსიქიკური აშლილობა აწუხებდა, რის გამოც არაერთხელ შექმნია პრობლემა.**

**მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115-ე და სსკ-ის 109-ე მუხლებით დაიწყო.**

**„სამი შვილის დედა იყო. ღამეებს აზამდა ისე მუშაობდა მისი შვილებისთვის. საოცარი, თბილი, მოსიყვარულე გულიანი გოგო იყო. არ ვიცი რა ვთქვა, შოკი მაქვს სრული, ამას ვერასდროს ვიფიქრებდი. ძალიან მაგარი ადამიანი. ღმერთო, არ ვიცი რა ვთქვა, სიცოცხლით სავსე ნინიკო აღარ გვყავს. როგორ გული მტკივა. ვიდეო, რომელიც გაავრცელა შვილმა იქიდანაც ჩანს, რომ ავად არის. აბა კარგად მყოფი ამას როგორ იზამდა. მე მაგ ბავშვს არ ვიცნობ და არაფრის თქმა არ შემიძლია. რაც ვიდეოში ვნახე უმძიმესია, ხელები აქვს სისხლიანი, აშკარად ჩანს კადრებში. როგორც ვიცი, ცივი იარაღით ჰყავს მოკლული. სხვა დეტალები ჩემთვის უცნობია. ზუსტად რა მოხდა და რა ვითარებაში, არ ვიცი. უმძიმესია რაც მოხდა, სიტყვები არ მაქვს, სამწუხაროა, თურმე ასეც ხდება",** – ამბობს საუბარში ნინო ხოჭოლავას მეგობარი.

# საბა

№138. ორშაბათი, 2 დეკემბერი, 2024 წელი



*ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან*
*ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა...*
*ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება,*
*ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე,*
*ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, –*
*მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.*
*ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა;*
*ოჰ, ოჰ... ოჰ... ოჰო – თქვა და თითქოს კიდეც ინანა,*
*მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა*
*(საბას ხმა როდი წაავავდა კნავილს კატისას);*
*რაც შეიტანა, – ისევე ის გამოიტანა*
*იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.*
*– წვიმა არ არის! –*
*საბას კაბა დაუსველა რამ?!*
*– თოვლი არ არის! –*
*საბას თავი გაუთეთრა რამ?!*
*– ყინვა არ არის! – სულხან-საბას აკანკალებს რა?!*
*– რამ დაასველა?!*
*– რამ დაათეთრა?!*
*– რა აკანკალებს?! –*
*საქართველოა მისთვის:*
*წვიმაც,*
*თოვლიც, და ყინვაც!*
*... მზე ეთხოვება ალბათ, ახლა ტურფა ტანძიას...*
*ეს სიცხადეა, სულხან-საბავ, თუ ფანტაზია?!*

*დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, –*
*ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს, –*
*სტამბოლში შვილი დედას სტირის, – ჰყიდიან ყმაწვილს*
*(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, მუხლზე დაცემულს),*
*რამდენს აფასებ მაგ პატარას? – ჰკითხა სპარსულად*
*საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.*
*უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! –*
*წარმოსთქვა ბალღმა, – ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.*
*არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!*
*უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?*
*საბას ცრემლები მოეძალა, – ატირდა კაცი, –*
*თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.*
*ვით ეს ყმაწვილი, – საქართველოც, – ასე მცირეა,*
*საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს ასე ჰყიდიან...*
*საფრანგეთს ვთხოვოთ, გვიშველისო, – სასაცილოა!..*
*შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.*
*ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.*
*მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...*
*მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო ყიალი?!*
*გულს ნუ გაიტეხ! – მუხა კვლავაც შეიმოსება!*

**ევროპა არასოდეს ყოფილა სანდო პარტნიორი!..**



**მუხრან მაჭავარიანი**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7794; ევრო - 2.9348;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5259;**
**100 რუბლი - 2.5750; თურქული ლირა - 0.0801;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6346;**
**1000 სომხური დრამი - 7.0365.**

# „საოცრად ლამაზი ქალიშვილი ჰყოლია გიორგი სააკაძეს“

საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ დიდ მოურავს გიორგი სააკაძეს 2 ვაჟის – ავთანდილისა და პაატას გარდა, საოცრად ლამაზი ქალიშვილიც ჰყოლია.

„საოცრად ლამაზი ქალიშვილი ჰყოლია გიორგი სააკაძეს, მისი საფლავი ერზერუმში პროფესორ ცისანა აბულაძის დახმარებით მოვძებნე და ფირზეც გადავიღე... ანა ხანუმი ერქვა სვეგამწარებული პაატა სააკაძის დას... ასეთი ამაღელვებელი ეპიტაფია შეუსრულებია მის აკლდამაზე მეუღლეს:



„ის ისეთი სწორუპოვარი სილამაზისა იყო,
რომ სამოთხეში ფერიები ჯერ დაუპირისპირდნენ,
მერე კი მსახურებად დაუდგნენ...
დაახლოებით ამბობენ მის ასაკს,
ნაადრევად მიიცვალა ხატკეთილი ჩემი ანა ხანუმი,
ვაგლახ რა დასანანია მოურავ ხანის ქალიშვილის
ამ ქვეყნიდან წასვლა.“

**გიორგი კალანდია,**
ისტორიკოსი.

# დიდებული ქართული ანბანი





**უნიკალური ნიმუშები** ჩართულია სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“. ისინი 2018 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე შესანიშნავმა ქართველმა მეცნიერმა ალექსანდრე მიქაბერიძემ აღმოაჩინა ინდიანას უნივერსიტეტის ლილის ბიბლიოთეკაში. ფოტოებს სწორედ ალექსანდრე მიქაბერიძის წიგნიდან „ცოცხალი ანბანი“ გიზიარებთ. წიგნი 2019 წელს ცირა კემულარიას ხელშეწყობით ხელოვნების სასახლემ გამოსცა.

# ქართული კინოს წარმატება და ია სუხიტაშვილის აზიური ოსკარი

**ქართულმა** დრამატულმა ფილმმა „აპრილი“, რომლის რეჟისორიც **დეა კულუმბეგაშვილია**, აზიურ „ოსკარად“ წოდებულ დაჯილდოებაზე **APSA – ASIA PACIFIC SCREEN AWARS** ორი მთავარი ჯილდო მოიპოვა: „**საუკეთესო ფილმი**“ და „**საუკეთესო შესრულება**“, სადაც მსახიობმა ია სუხიტაშვილმა გაიმარჯვა.



ფილმი ასახავს მეან-გინეკოლოგის რთულ ბრძოლას, რომელსაც ახალშობილის გარდაცვალებაში ადანაშაულებენ. „აპრილი“ თავდაპირველად ვენეციისა და ტორონტოს კინოფესტივალებზე წარსდგა. ვენეციაში მან სპეციალური ჟიურის პრიზი მოიპოვა, ხოლო სან სებასტიანის კინოფესტივალზე „Zabaltegi-Tabakalera“-ს კონკურსში გაიმარჯვა.

დაჯილდოების ცერემონიას ავსტრალიის ქალაქ გოლდ კოსტში, მსახიობი **ია სუხიტაშვილი** ესწრებოდა.

ასევე, APSA-ზე წარმატება მოიპოვა ტატო კოტეტიშვილმა, რომელმაც ფილმისთვის „**წმინდა ელექტროენერგია**“ „**საუკეთესო რეჟისორის**“ ჯილდო მიიღო.

**საქართველოს რესპუბლიკა**
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ანგარიშის ნომერი**
**GE90BG0000000538329790**

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 დეკემბერს**